ჟინგერი

140/2
1945

1945

თებერვალი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პ ი ო ნ ე რ ი

„საქ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 1

1945 წ. თებერვალი

წყლიწადი მეჩვიდმეტე

გამომცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

№ 1

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Издательство „Комунисти“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

პიონერებს

ჩვენი შრომა, ჩვენი ბრძოლა,
ჩვენი ჩანგის სიმთა ყღერა,
თქვენთვის გვინდა მომავალნო,
თქვენი ვარდის გასაშლელად,

ვით ჩვენ ვიბრძვით მამაცურად,
თქვენ აშენეთ ისე მტკიცედ,
და ის დროშა ასწით მაღლა,
რომელიც ჩვენ დავიფიცეთ.

ჩემს პატარა მკითხველებს

თქვენი ლხენა მეც მახარებს,
თქვენი ზღავრი მეცა მწვდება,—
საქართველოს ტურფა მხარეს,
გამარჯვება!

მტერს გაუხმოგთ ფესვს და ძირებს,
მთაზე ნისლი ალარ წვება,
ჩვენს არმიას, ჩვენს დედგმირებს
გამარჯვება!

როგორ მინდა თქვენს წყებაში
ჩადგომა და აბავშვება.
დიად მარშალს ჩვენი ტაში!
გამარჯვება!

ლ. ლეონიძე

1945 წ
25 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

140/2

409/

ბელადო! შენს მზეს ვადიდებთ ყველა,
სუსხი შესცვალე ისევ ბაფხულად,
შენს ბრძენ სახეზე, ვით ცისარტყელა,
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა.

იცოცხლე! ხალხის გულში გაქვს ბინა,
აზრით ბრძენო და საქმით მართალო,
იცოცხლე! დროშად გვიძღოდე წინა
შენ—გამარჯვების მთავარსარდალო!

[illegible] ეროვნული [illegible] ბიბლიოთეკა თბილისი

საბჭოთა საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს—ჩვენს მზიურ სამშობლოს 24 წელი შეუსრულდა. ბედნიერია ...

...ბა! მაგრამ რაოდენ ბნიშვნელოვანი და დიდი საქმეებითაა გაცისკროვნებული!

ჩვენს სამშობლო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია მას. ბევრჯერ აოხრებიათ, აუკლიათ ის გარეშე მტრებს... ვინ იცის რამდენი რამის მოწმეა ჭალარა კავკასიონი, ხელად მოდუდუნე, მარად უტყვი მტკვარი... და განა მარტო გარეშე მტრები, თვით შინაური მტრებიც ულმობლად აწიოკებდნენ და არბევდნენ ქართველ ხალხს.

ასე იყო საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს.

ასევე იყო საძულველი მეწშევიკური მთავრობის ბატონობის დროსაც.

წამდვილი თავისუფლება და ბედნიერება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის დიდმა პარტიამ მოუტანა საქართველოს, მის ხალხს.

ოცდაოთხი წლის წინათ ქართველმა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვა-ნელობით, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერით, წითელი არმიის დახმარებით დაამხო მეწშევიკური მთავრობა და გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალა.

სწორედ აქედან დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ისტორიაში; სწორედ ამ დიდებულ ალმობრწყინვიდა კაშკაშა მზე ქართველი ხალხისათვის; სწორედ აქედან დაიწ-ყო ნამდვილი გაზაფხული ჩვენი სამშობლოსათვის.

საბჭოთა საქართველო 24 წლის ვაჟკაცია. მისი ქალაქები დაშენილია ქარხნე-ბით, ფაბრიკებით. მის მიწა-წყალზე გაშენებულია მძლავრი კოლმეურნეობები, საბჭო-თა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. თვალწარმტაცია მისი ციტრუსე-ბის, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, მისი ხვავიანი ყანები, ბარაქიანი ბაღ-ვენახები.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სიცოცხლით საესე, ხალისიანი ახალგაზრდობა, ბავშვები გულმოდგინედ ეუფლებიან ცოდნას, მეცნიერებას.

საბჭოთა საქართველო ყოველივე ამას უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, დიდ სტალინსა და მის საუკეთესო თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

საბჭოთა საქართველომ, მისმა ღირსეულმა შვილებმა—თავიანთი თაედადებული შრომით და გმირული ბრძოლით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში კიდევ უფრო გაამდიდრეს ქართველთა ბრძოლის სახელოვანი ტრადიციები და ხალხის გულში უკვდავების ძეგლი აიგეს.

დიდება საბჭოთა საქართველოს და მის სახელოვან შვილებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

ვლადიკავკაზში

ყო მრისხანე ორმოცდაორი,
თოფის გრიალი, ხმლების
კაშკაში...
შეშფოთებული, დაღო-
ნებული
გზაზე შეგჩერდი ვლადიკავკაზში.
მტერმა გადასწვა დონის სოფლები,
ცეცხლის ენები კაკკავს წვდებოდა,
და გამხეცებით და გაცოფებით
საქართველოსკენ მთებს აწვებოდა.
ვნახე მთას მტერმა რაც მოუტანა,
რა ფათერაკიც მისგან გველოდა:
ჩვილის კვილი, დედის მუდარა
თითქო მესმოდა საქართველოდან.
თითქო მესმოდა ცეცხლის გუგუნი
ქართლის ველიდან ზეცის თაღამდე;
დღე ილეოდა და მე მეგონა:
კვლავ საქართველოს ველარ ვნახავდი.
იყო სულ ახლო ხმლების კაშკაში,
ახლოს დგიოდა ცეცხლის კერია,
მაშინ შეშავშნულ ვლადიკავკაზში
უცებ ვიხილე გზაზე ბერია.
უცებ ქალაქში ვნახე ბერია
ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადასვრა...
მე გამოვხედე ჩვენკენ დარიალს.
ვთქვი:—საქართველო უკვე გადარჩა.



ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი, ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი როკოსოვსკი, უკრაინის მეორე ფრონტის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი მალინოვსკი, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარების სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კონევი.

ვარშავაზე გადასვლა

გიორგი ნაჯროშვილი

ნახატები ხ. კეცხოველისა

რუსეთიდან თბილისში ვბრუნდებოდით. ხანგრძლივი მგზავრობით გამოწვეულ ჰოწყენილობას იმითა ვფანტავდით, რომ კუპეში მყოფი დაჭრილი მებრძოლები დროდადრო ერთა მეორეს თავის მოგონებებს ვუზიარებდით, ვუამბობდით იმ საინტერესო შემთხვევებზე, რომლის მოწმენი და მონაწილენიც ვიყავით. ჩვენი თანამგზავრი, კაჭრეთელი ვანო გაბიტაშვილი ერთხანს სდუმდა, ფანჯარასთან იჯდა და ტრიალ მინდორს გასცქეროდა, თან პაპიროსს აბოლებდა. მერე მობრუნდა და სთქვა:

— ბევრნაირი ფრიცი მინახავს, ეშმაკმა წაიღოს ამათი სახსენებელი, მაგრამ ერთი მაინც არ დამავიწყდება. ბავშვობისას კეკეტალულობა ხომ გითამაშიათ? აი სწორედ ისე მათამაშა იმ ოხერმა ტყეში, მერე კი, იცოცხლე, ვანანე და გაჩენის დღე ვაწყევლინე...

— მოგვიყევი — მეთქი, შეეხვეწე ვანოს. ისიც აღარ გაინაზა და აი რა გვიამბო:

— მდინარე უგრას სათავეესთან, — დაიწყო ვანომ, — ერთი დიდი სოფელია, პეტრიშჩევოს ეძახიან. ეს ის პეტრიშჩევო არ გეგონოთ, სადაც გერმანელებმა ზოია აწამეს. ის მოსკოვის ოლქშია, ეს კი, რომელზეც მე ვლაპარაკობ — სმოლენსკის ოლქის ტყეშია. მაგრამ განა რუსეთს გაჰზომავ? უამრავი სოფელი იქნება ამ სახელით; ჰოდა, ჩვენ სმოლენსკის პეტრიშჩევოში ვიყავით, მტრის პოზიციების გარღვევისათვის ვემზადებოდით.

ზამთარი იყო. ცხენოსან დივიზიას მტრისათვის ვარშავკა უნდა წაერთმია და ჩვენი პოლკი ყველაზე წინ უნდა წასულიყო. პირველად გამიკვირდა — ვარშავკას აქ რა უნდა, ამ შუაგულ რუსეთში, საიდან დაურქმევიათ ამ ადგილისათვის ასეთი სახელი — მეთქი. მერე ლეიტენანტმა სინჩაკოვმა — მოსკოველი იყო — მითხრა:

— ტყუილად გიკვირს! ვარშავკა მოსკოვ-ვარშავის მოასფალტებული გზატკეცილის შემოკლებული სახელია. ეგ გზა აქ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინის მესამე ფრონტის ჯარების სარდალი მესამე ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **ჩერნიახოვსკი**, საბჭოთა კავშირის მარშალი **ტოლბუხინი**, ბელორუსიის სარდალი არმიის გენერალი **პეტროვი**, ბალტიისპირეთის ძირითადი ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი **ბაგრამიანი**. უკრაინის მეოთხე ფრონტის ჯარების სარდალი არმიის გენერალი

არა, მოსკოვში იწყება, სერპუხოვის მოედანთან და პირდაპირ ვარშავამდე მიდისო...

ამ ვარშავკას გერმანელები თვალისჩინეული უფრთხილდებოდნენ. მათი კომუნიკაციის მთავარი ძარღვი აქ იყო. ამიტომ, იყო რომ გზის ყოველ კილომეტრს ტანკები იცავდნენ, გზის აქეთ-იქით, მაღლობებზე მტრის ქვემეხების და ნაღმსატყორცნების ბატარიები იდგნენ. ჩვენ კი მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი მტრისათვის ეს გზა წაგვერთმია.

მაგრამ გზამდე მისვლა არ გინდა?

ბრძოლა ჩვენმა პოლკის ბატარიებმა დაიწყეს... პირველსავე სროლაზე ხუთ ვეება სატვირთო მანქანას ცეცხლი წაუკიდეს, ოთხი ტანკი დასწვეს, მერე ცეცხლი სიღრმეში გადადატანეს და მტრის ნაღმსატყორცნი ბატარიაც ჩაიჩუმეს. ის იყო პირველი ესკადრონი იერიშზე წავიდა, რომ მტერმა ჩვენი ზურგის საარტილერიო დაბომბვა დაიწყო... ექვი აღარ იყო: საღღაც სულ ჩვენთან ახლოს მტრის მეწინავე მეთვალყურე იყო შემოპარული, რომელიც კარგად გვხედავდა და საღღაც შორს მიმალული თავისი ბატარიის ცეცხლს აკორექტირებდა, აწესრიგებდა...

ეტყობოდა მართლაც საღღაც ძალიან ახლოს იყო ის ოხერი, მაგრამ სად? იქნებ ტყეში იყო, იქნება სადმე ბუჩქნარიან ფერდობზე, წვრილიანში, ერთი სიტყვით უნდა გვეპოვნა, რადაც უნდა დაგვეჯდომოდა.

აარჰიეს კარგი მზვერავი, გამოცდილი ბიჭები და საძებრად გაგზავნეს. მეც სურვილი განვაცხადე—წავალ—მეთქი. ლეიტენანტმა ნება დამრთო.

ადრე იმ ადგილებში ნასიარულევი არ ვიყავი. ჰოდა, ტყე ხო იცით რა მაცდურია. სმოლენსკის ოლქში ი ა რ ა, ალაზნის ველაში დავაბნევს... პატარა ბიჭობაში განა ერთხელ დამშართია ესა? მახსოვს ურმები გვქონდა წაღებული, შეშა უნდა მოგვეტანა. ამაში თერთმეტი წლისა ვიყავი. ათი ნაბიჯი არა მქონდა გადადგმული — მხარი მექცა. ვეღარ გავიგე, სად ვიყავი, ხან ის მომეჩვენა, რომ წყლები აღმა მიდიან, ხან ის რომ მზე აღმოსავლეთისაკენ ჩადის — მეთქი. მერე ძახილი დავიწყე, და ასე-ღა მივაგენი ჩვენს ურმებს.

მაგრამ ეს ხომ პატარაობაში იყო: ახლა კი ვაქაცი ვიყავი, მაჯაზე კომპასი მეკეთა,—ამა რაღა დამაბნევედა, ახლა ისე გულდინჯად მივდიოდი ამ თოვლიან ტყეში, რომ ვფიქრობდი ჩემსავით უცდომლად აქ რომ გაჩრდილა და დაბერებულა, ეს ტყეც რომ თავისი ქეჩისავით შესწავლილი ექნება — ისეთი კაციც ვერ ივლის—მეთქი. ღრმად შევედი ტყეში. ზარბაზნების გრუხუნი ისევ ისმოდა, ლაწალაწით იმტვერიოდნენ ხეები, როცა ახლოს ყუმბარა ეცემოდა. ტყეში კი არა, თითქოს შენს ძვლებში იმტვრევა და ილეწება რაღაც. ტყე კი არა, თითქოს გული სცემსო ასე. დავიქანცე, ნიშანიც არსად სჩანდა მტრის მეთვალყურისა, უეცრად რაღაც წამომეფო ფეხზე და წავიფოფინილი, ეკალბარდი თუ არის მეთქი, ვიფიქრე, დავწვდი, დავიღუნე, რომ ფეხი გამეთავისუფლებინა და... მიწაზე ტელეფო-

ნის მავთული დავინახე. გამეხარდა, მტრის კვალი უკვე ნაპოვნი იყო. მეც იმ წამს ავიღე, მავთული გადავკვერი და იქვე ჩავესაფრდი, ხეს მოვეფარე... ახლა ან შეეკვეშირენი მოვდიოდნენ ბატარიიდან მავთულის აღსადგენად, ან მეთვალყურე დამჩრენდებოდა თავის ბატარიისაკენ. მეც ლოდინი დავიწყე.



ეზიავარ და თან ყურს ვუგდებ, რა ხდება ირგვლივ. მტრის ქვეშეხების სროლა უეცრად მიწყნარდა. ეტყობოდა ამ მავთულის გადაკრამ თვალი გამოსთხარა მტერს, დაბრმავება. ჩვენმა პოლკმა ამით ისარგებლა, გადავიდა წინ, გადასჭრა ფარშავეა. მე კი ეზიავარ გაუნძრეველად და ვუცდი.

უეცრად ჩუმი ლაპარაკის, თითქმის ჩურჩულის ხმა შემომესმა... უფრო გავინაბე, ძალე წინ ორი გერმანელი გამოჩნდა...

ორიეულ თეთრად გაქანქათებული სანიღბო ხალათები ეცვა. მოაწლოვდნენ, ახლა ყველა ნაკეციც კი გაირჩეოდა მათს ტანსაცმელზე და ქმნილაც ისმოდა. ძალიან ფრთხილობდნენ, ალბათ ფიქრობდნენ, რომ ჩასაფრებულს წაეწყდებოდნენ, თუმცა შეიძლებოდა მავთული ყუმბარასაც გაეგლიჯა. აი მიაღწიეს ადგილს, სადაც მავთული გადაწრილი იყო, თოვლზე ნაკვალევი შენიშნეს: თითქოს ყველაფერს მიხვდნენო—აიძაგრნენ, აქეთ-იქით თვალების ცეცება დაიწყეს... ამბავი ცოცხლად ხელში ჩაყრა—ვატყობდი. უკვე შეუძლებელი იყო. დავუბრუნე ერთს, ვესროლე, სწორედ საფეთქელში მოჰხვდა ტყვია, მეორეც იაზრა, ... გადაბტენ. განზე და ვეება ხეს ამოეფარა. ამოეფარა და გაჩერდა. იგრძნო რა წამს მოაშორდებოდა ხეს — ვესროდი.

მე კი აღარ ვიცოდი რა მექნა.

უზარმაზარი ხე იყო, ისეთი, რომ ასი კაცისთვის გაიშლებოდა იმის ქვეშ სუფრა... წამოდგექი, შაშხანას ხანჯლის სიფართე ნიშტი მოვხსენი და ფრთხილად მივუახლოვდი. თოვლის ხრაშუნზე ჩემი მიახლოება გაიგო. გაფრთხილდა, ოდნავ წავიწევდი, ისიც უმალ ადგილს იცვლიდა, ასე ვუვლიდით ხეს ირგვლივ; ბრაზი მომდიოდა, თანაც სასაცილო იყო: აქეე ორი ნამოგიის სიშორეზე იყო მტერი და ვერა ვწვდებოდი. დავიქანცეთ ორივენი, ისიც ძალზე ქშინავდა...

ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩემს დღეში არ ჩავვარდნილვარ. კვლავ ვეცადე ხელში ჩამეგდო, კვლავ გადაინაცვალა ადგილი. უფრო სწრაფად გავეყე, ისიც უფრო აჩქარდა, ვატყობდი უკვე დარბოდა... მერე უეცრად მოვბრუნდი და მოპირისპირე მხრიდან სწრაფად მოვუარე, პირდაპირ ზედ წამომდაწყდა, დამეტაკა, დაიღრიალა, ასე ახლოს ჯერ ფაშისტი არ მიგხია. დაიბნა, ავტომატის მსხლეტი შიშისაგან და დაღლილობისაგან აკანკალებული თითებით უცებ ვეღარ მოძებნა, მერე აი იპოვნა და ის იყო უნდა ესროლა, რომ მოვასწარი და ხიშტი ყელში ჩავეცი.

თბილი, წებოვანი სითხე გადმომესხა ხელებზე...

ქისა ამოვიღე, წეკოს გაჩვეეა ეცადე. დიდხანს ვერ შევძელი, ხელები მიკანკალებდა, წეკო მიწაზე იბნეოდა. ბოლოს როგორც იყო შევხვიე და ცეცხლი მოვუკიდე.

ასე ტკბილი, ასე სურნელოვანი და თავბრუდამხვევი არასოდეს არა მჩვენებია ეს მწარე წეკო. მერე მოკლულებს სპბუთები და ავტომატები ავართვი და პოლკში დავბრუნდი.

ჩვენები უკვე ვარშავაკაზე გადასულიყვნენ; ფართო, მოასფალტებული გზატკეცილი ახლა უკვე ჩვენს ხელში იყო და გერმანულ ნაწილებს შუა გზა გადაჭრილი იყო.

ასე დამთავრა თავისი ამბავი ვანო ბაბატაშვილმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქუჩიშვილი

ჩემი საღამი

ოგესალმებით ბალღებო,
თქვენ ჩემო გულის გვრიტებო,
ერთურთზე უკეთესებო,
ქვეყნის თვალმარგალიტებო!

დედათა ზრუნვა—ალერსით
ლაღობდეთ, იფურჩქნებოდეთ;
ომში წასული მამები
გმირებათ დაგბრუნებოდეთ!

კვლავ თქვენთანა ვარ

მოგმილოცნია აყვავება მზარის
ისევ თქვენთან ვარ, პატარებო, ისევ მოგველი,
ფელს ბამარჯვების გაზაფხულის დაგვიდგა დარი,
სხვა ყვავილების, სხვა ვარდების, უხვად მთოველი

ზამოდით მინდვრად საამბოხი ბევრი მაქვს, ბევრი,
ლეჭსები ქარგად აფუოტინილი ჩვენი მგოსნების,
როდის მოვიდა ამ მიწაზე ქართველი ერი;
ამბავი ზღაპრად გადაქცეულ თარ გამოსებრს.

ზამოდით ვნახოთ პეკელების აფლა მდელოდან,
ვნახოთ ბიბინი ჯეჯილების, ვიმღეროთ ველად,
ბელადს მადლობა გაუგზავნოთ საქართველოდან,
ჯანმრთელად ყოფნა, დღებრძელობა გუსურვოთ ბელადს!

ამფვანებული მინდორ-ველიც ბიცდეთ, მოგველით,
ბია-ბია ყვავილებზე ფუსფუსს უნდება,
გაგიღეთ კარი, დღეს კარები ვარ ბახარობელი,
ომში წასული ძმებიც მალე დაგიბრუნდებათ.

ჟურნალი „პიონერი“.

ომის ქარცეცხლი გერმანიის მინა-წყალზე ბობოქრობს!

23 თებერვალს საბჭოთა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა სახელოვანი წითელი არმიის 27-ე წლისთავი.

წითელი არმია მრავალჯერ პირისპირ შეხვედრია და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავს საბჭოთა ქვეყანას—ჩვენი სამშობლოს მტრებისათვის. ყველა ინანი მან გაანადგურა, მკერდით დაიცვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და ღირსება.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის არმია მოულოდნელად, ვერაგულად თავს დაგვესხა. იგი შემოიჭრა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე.

ჰიტლერის არმიას ომის დასაწყისში ტანკები და თვითმფრინავები ჩვენზე მეტი ჰქონდა. იგი ძლიერი არმია იყო, ამიტომ მან შესძლო ჩვენი მიწა-წყლის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება.

მაგრამ საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომით უპასუხა გერმანელ ბარბაროსთა შემოსევას.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო მეჩიდრდ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა, უმოკლეს დროში, წითელ არმიას, ფრონტს მისცა ყველაფერი, რაც გამარჯვებისათვის იყო საჭირო.

და, აი, ჩვენს ქუჩაზეც დადგა დღესასწაული!

წითელმა არმიამ ბრწყინვალედ შეასრულა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმა: გაანადგურა მტერი მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მისადგომებზე, ლენინგრადთან, კურსკთან... გაათავისუფლა კიევი, ყირიმი, ოდესა, ლენინგრადრული სევასტოპოლი, მინსკი, ლვოვი და მრავალი სხვა ჩვენი ქალაქი და დასახლებული პუნქტი.

საბჭოთა მიწა-წყალი საესებით და საბოლოოდ გაწმენდილია ფაშისტური სიბილწისაგან!

დახედეთ რუკას და ნახავთ, თუ სად ფრიალებენ ახლა ჩვენი გამარჯვების დროშები.

1944 წლის შემოდგომაზე, დიდი სტალინის გენიალური გეგმით, უკრაინის მეორე ფრონტისა და უკრაინის მესამე ფრონტის ჯარები, საბჭოთა კავშირის მარშლების მალინოვსკისა და ტოლბუხინის სარდლობით, შეიჭრნენ უნგრეთში. მიტლერმა იცოდა დივიზიების სახსრად ფოდ გადაყვანა უნგრეთის და უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტისაკენ. აქ მან თავი მოუყარა 70 დივიზიას იმ 220 დივიზიიდან, რომლებიც 1 დეკემბრისათვის ოფიციალურად საბჭოთა კავშირ—გერმანიის ფრონტზე. ჰიტლერს ეგონა, რომ აქ იყენებდა წითელი არმიის თავგანი დარტყმა, ამ დროს კი შეიბა რა გერმანელთა ჯარები უნგრეთში, ამხანაგი სტალინის ბრძანებით წითელი არმია სწრაფად გადავიდა შეტევაზე მდინარე ვისლაზე ჭალაქ სანდომირთან, შემდეგ გარშემოვლინა, აღმოსავლეთ პრუსიაში, კარპატებში. წითელი არმიის ეს დარტყმები ისეთი სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ თვით გერმანელი სამხედრო მმართველები იძულებულნი გახდნენ ეთქვათ:

„წითელი არმიის ახალგაზელი შეტევის თავისებურება ისაა მდგომარეობს, რომ სტალინი გვიბრძანებს უფიდეი სისწრაფით, არ იძლევა სულიერმოთქმის საშუალებას“.

ჩვენმა ჯარებმა ბოლოს გერმანელთა ის ჯარებიც გალანდგურეს, რომლებიც შემოეკვეთა იყენენ ბუდაპეშტში. ამრიგად, გამოვიუფფლეთ უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი—გერმანელთა თავდაცვის ტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი კვანძი ავსტრიის დედაქალაქ ვენისაკენ მიმავალი გზებზე.

არმიის ენერალ პიტროვის ჯარებმა (უკრაინის მეოთხე ფრონტი), ზამორის პირობებში გადალახეს თოვლით დაფარული კარპატის მთები, ბრძოლებით გაიარეს პარეზუნი ხეობები, ულრანი ტყეები და გადათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის ერთი ნაწილი.

ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გადათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე პოლონეთი და მტრის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

ახლა იქ, ფაშისტური გერმანიის მიწა-წყალზე, ბობრ[illegible]ბ მან დგურებელი ომის ქარცეცხლი, სახ[illegible]ბ[illegible]ბ[illegible]ბ

ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიის ზღვა
ინგლისი
ირლანდია
ბელგია
ბერლინი
ბონი
ბავარია
ავსტრია
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბერნი
ბასელი
ბრიუსელი
ბონი
ბერლინი
ბავარია
ბუდაპეშტი
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბერნი
ბასელი
ბრიუსელი
ბონი
ბავარია
ბერლინი

რეზიონ ქორაქია

გმირი

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად დიდ სამამულო ომს აწარმოებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამ ომში ბევრმა ქართველმა მებრძოლმა ისახელა თავი. ვის არ გაუგონია ალექსანდრო წურწუმიას, არკადი გეგეშიძის, მიხეილ გახოკიძის, ავთანდილ ბერიას, ალადიმერ კანკავას და სხვათა სახელები? ესენი საბჭოთა კავშირის გმირები არიან, ჩვენი იმედი და სიამაყე. ამჟამად ამ ბრწყინვალე სახელებს ერთი ახალგაზრდა ვაჟკაცის სახელიც შეეძატა. ესაა საბჭოთა კავშირის გმირი 19 წლის თენგიზ ჯაფარიძე.

თენგიზ ჯაფარიძე თბილისელი მოწაფეა. ის ყოფილ მე-8 საშუალო სკოლაში სწავლობდა. ზრდილობიანი, უფროსების დამჯერე, გულკეთილი, ფრიადოსანი მოწაფე იყო.

ისტორიიდან და ლიტერატურიდან თენგიზს ისეთი ადამიანები მოსწონდა, რომელთაც თავი დაუდვიათ მშობელი ხალხისათვის, მტკიცე ნებისყოფა გამოუჩენიათ დასახული მიზნის მისაღწევად და სიძნელეების წინაშე არასოდეს დაუხრიათ თავი.

საომარი ომი რომ დაიწყო, თენგიზი ჯარში გაიწვიეს; ჯარში თენგიზს თან გაჰყვა სკოლაში გამომუშავებული საუკეთესო თვისებები. ამ თვისებათა გზით მიაღწია თენგიზმა იმას, რომ საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. თუ როგორ მოხდა ეს, ამაზე მინდა ეუბნობო ჩვენი ჟურნალის მკითხველებს.

მეოთხე კლასში 26 მოწაფიდან 12-ს ჰქონდა „პიონერი“ გამოწერილი. მათ შორის თენგიზ [illegible] ასევე. თენგიზს უყვარდა [illegible] ტულის ვაზიარება ამხანაგებისათვის. [illegible] დაცემის კარგი უნარი აღმოაჩნდა. [illegible] ენის და ლიტერატურის მასწავლებელმა ეს შენიშნა და ბავშვს მოსსენებათა წაკითხვა დააწყვინა.

ერთხელ მასწავლებელმა თენგიზს ასეთი თემა დაავალა: „სიყვარული დედისადმი“. თენგიზმა „შვილის ნუკრის ნაამბობი“ აიღო და ისეთი მოხსენება წაიკითხა კლასში, რომ თვალცრემლიანი ბავშვები სულგანაბულნ უსმენდნენ.

აი, თითქოს კლასში სისხლიანი ფეხებით გაიარა პაწაწა ობოლმა, ბედისგან დაბრიყვებულმა, შვილის ნუკრმა. გაიარა და მოაგონა ბავშვებს, რომ დედაშვილურ გრძნობაზე ულრმესი არა არის რა, რომ უნდა გიყვარდეს დედა. და თუ შენი დედა გიყვარს, არ შეიძლება სხვის დედასაც არ სცე პატივი. არ შეიძლება სხვა ბავშვიც არ გიყვარდეს, არ გებრალებოდეს.

გავიდა რამდენიმე წელი და თვითონ თენგიზს მოუხდა გერმანელი ყაჩაღებისაგან იმ ობოლი პაწიების დაცვა, რომელთაც დედები დაუხოცეს ადამიანებზე მონადირე ფაშისტებმა.

ეს იყო 1940 წელს. სკოლის ლიტწრეკმ პატრიოტული პიესის დადგმა გადაწყვიტა. აირჩიეს რუსული პიესა „განთიადზე“, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ გასათავისუფლა წითელმა არმიამ დასავლეთი უკრაინა ოცხოელთა მონობისაგან. ამ პიესაში თენგიზ ჯაფარიძე გმირი წითელი მეთაურის როლს ასრულებდა.

გავიდა ორი-სამი წელი და თენგიზ ჯაფარიძე თავის ტანკს მიაგუდგუნებდა დასავლეთ უკრაინის მინდვრებზე, ერეკებოდა გერმანელ მოძალადეებს და ათავისუფლებდა მოძმე ხალხების ქალაქებსა და სოფლებს. აი კამენეც-პოდოლსკი, პრომსკოროვი, ლვოვი, ტარნოპოლი, პერემიშლი და მრავალი სხვა პირველად ნახული ქალაქები... მაგრამ რაღაც ძალზე ნაცნობი, ახლობელი და მშობლიური იგრძნობა ამ ქალაქებში.

მართლაც... ეს ხომ ის უკრაინაა, რომელსაც სცენაზე ათავსებენ თენგიზი, რომლის სიყვარული სკოლამ შთაუნერგა თენგიზს თბილისში? პროსკურიოვთან ბრძოლებში თენგიზი მტრის ზურგში შეიჭრა, მტერი დაზვერა და ისეთი მამაცობა გამოიჩინა, ისეთი ცნობები მიაწოდა სარდლობას, რომ მიიღო მედალი „მამაცობისათვის“. ცოფელ ვისლაბოკთან კი თენგიზის ტანკს ცეცხლი მოეკიდა. თენგიზმა ჩვეულებრივი სიდინჯით, მტრის თვალწინ, ჩააქრო ცეცხლი. ამისათვის მას ცეცხლმოდებული ტანკიდან დასჭირდა გადასვლა. ვაქაცი არ შეშინდა. იმ წუთებს თითქოს მთელი მისი სკოლის მასწავლებლებისა და მოწაფეების უამრავი თვალი უყურებდა მას და ელოდნენ: რას იზამს ჩვენი გზრდილი, ჩვენი ამხანაგი, ჩვენი თენგიზიო?

თენგიზ ჯაფარიძემ შესძლო მძიმე დავალების შესრულება. ჩააქრო ცეცხლი, იხსნა ტანკი. თენგიზის მკერდი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენმა დაამშვენა...

* * *

მასწავლებელი ანტონ მუჯირი ფიზიკის გაკვეთილზე ცდებს აწარმოებს. ცდების დროს საჭიროა დაკვირვება, ნების სიმტკიცე. დაძაბული ყურადღებით უსმენდა ცდის ახსნას თენგიზი და როცა მასწავლებელი გამოიძახებდა ცდის მსურველს განმეორებისათვის, თენგიზი პირველი იყო. ერთხელ რთულმა ცდამ ბევრი შრომა მოინდომა.

— თუ მოინდომე, მიაღწევ მიზანს! — სთქვა ანტონმა.

თენგიზიც შეეცადა და მიაღწია მიზანს: ცდა ჩაატარა. ანტონი ამაყობდა თავისი მოწაფით და უყვარდა იგი. ან მასწავლებელმა რა იცოდა, ან მოწაფე რას იფიქრებდა მაშინ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნების სიმტკიცისა, მხვედრილობისა და ნერვების დაოკების უდიდესი ცდა სამამულო ომის ფრონტზე მოხდებოდა?

მართლაც, როცა თენგიზ ჯაფარიძის შეიარაღებული სანდომირთან იბრძოდა, საჭირო შემაქა ჩვენი ზურგის დაცვა. ორი ტანკი მოჰკოფ ჩვენმა სარდლობამ ამ მიზნით: ორ ტანკს ზურგისაკენ მისადგომი გზა უნდა დაეცვა სოფელ შედლოვთან.

მეტად ძნელი იყო ეს დაცვალება, რადგან თავსაფარი ან ხეები არსად იყო. დაბინდებისას გამოვიდა ორი ტანკი პოზიციაზე.

როცა დილა გათენდა, ორივე ტანკი ბალახის ზვინებს ქვეშ იყო ჩამალული, აი სწორედ ისე, როგორც ვეფხვს იცის ხოლმე ნახტომის წინ მიყურეცა. დიდხანს არ დასჭირვებია საბჭოთა ვეფხვებს ფაშისტების „ვეფხვების“ ლოდინი. გამოჩნდა ფაშისტების ოცი „ვეფხვი“. ფაშისტების ოცი და ჩვენი ორი...

მაგრამ ამ ორ ტანკში საბჭოთა ჯგუფის მამაცი შეიღები იყვნენ, რომელთაც არ იცოდნენ რა არის ნების მოდუნება, შიში და სიძნელეების წინაშე ქედის მოხრა. ორმა ტანკმა ოც ტანკს სრული აუტეხა და ძლიერი ბრძოლა გაუმართა. მთელი დღე უშიშრად იბრძოდა თენგიზ ჯაფარიძე. მას ყურში ეიგა მასწავლებლის სიტყვები: „თუ მოინდომე, მიაღწევ მიზანსო“. მან ერთმა დაამარცხა და მოსპო 5 ტანკი...

ამ შესანიშნავი გამარჯვებისათვის სერჟანტ თენგიზ ჯაფარიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თბილისში ჩამოსვლისას, თენგიზი ესტუმრა თავის საყვარელ მასწავლებლებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ არასოდეს არ განუცდიათ ისეთი სიხარული, როგორიც განიცადეს თენგიზთან შეხვედრისას.

ამავამად თენგიზ ჯაფარიძე ვეარიიის უმცროსი სერჟანტია. წითელი არმიის სარდლობამ იგი ოფიცერთა სკოლაში მიაღლინა, რომ ეზირმა მიტი ცოდნა და განათლება მიიღოს. თენგიზიც სიხარულით მიდის სასწავლებელში, რადგან იცის, რომ რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ადამიანს, მით უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია სამშობლოსათვის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

აკაკი წერეთელი უდიდეს ქართველ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის.

აკაკი დაიბადა 1840 წელს სოფელ სხვიტორში, საჩხერის მახლობლად. მისი მშობლები როსტომ წერეთელი და ეკატერინე აბაშიძე ძველ ფეოდალურ საკვარეულოს ეკუთვნოდნენ.

დაიბადა თუ არა, პატარა აკაკი, ძველებური ჩვეულების თანახმად, მახლობელ სოფელ სავანეში გაგზავნეს ძიძასთან. უბრალო, ღარიბმა გლეხმა ქალმა აწოვა ძუძუ, მან უმღერა ტკბილი ნანინა, მან გაზარდა შფაცცხლის პირად საქართველოს მომავალი საამაყო მგოსანი.

ძიძასთან აკაკიმ ექვს წლამდე დაჰყო.

ის იზრდებოდა თავის ძიძაშვილებთან და მეზობელ გლეხ ბავშვებთან ერთად. დილიდან დაღამებამდე ის ატარებდა მინდორსა, ყანასა და ტყეში, უყვარდა თავის ტოლებთან სამწყესურში ყოფნა, ან კიდევ მდინარეზე თევზაობა. პატარა აკაკის თვალწინ მიმდინარეობდა გლეხკაცის მძიმე და გაუხარელი ცხოვრება, მისი ნიადაგ შრომა და საქმიანობა.

ექვსი წლის რომ შესრულდა, პატარა აკაკი მშობლებმა თავის სახლში წაიყვანეს.

სანამ სასწავლებელში მიაბარებდნენ, აკაკი რამდენიმე წელს სხვიტორში ცხოვრობდა, მამის სასახლეში. აქ ის გაეცნო ფეოდალურ ცხოვრებას, მაღალი წოდების ზნესა და ადათებს.

თავადი როსტომი თვითნება და ახირებული, მაგრამ იმავ დროს გულკეთილი კაცი იყო. უყვარდა ძალი, კარგი ჭამა; აკაკის დედა ეკატერინე, გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანი, გარეგნულად მრისხანე, მაგრამ გულჩვილი ქალი, ფაქტიურად მარტო უძღვებოდა ოჯახს, რადგან მისი ქმარი თავს არ იწუხებდა, მეურნეობის საქმეში არ ერეოდა.

დედამ აკაკის ჯერ ლოცვები ასწავლა, მერე უფროსი ქალის, ანას ხელმძღვანელობით, წერა-კითხვა. პატარა აკაკი ისე ჩქარა გაიწაფა, რომ რვა წლისამ „ვეფხის-ტყაოსანი“ წაიკითხა თავიდან ბოლომდე.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ

ათი წლის იყო აკაკი, ჭუთაისის სასწავლებელში რომ მიაბარეს. აქ მან თითქმის თვრამეტი წლის ჰასაკამდე დაჰყო. სასწავლებელში გატარებულმა ხანმა უსიამოვნო მოგონებები დასტოვა მოეტში. იმ დროს სკოლაში მეტად სასტიკი რეჟიმი იყო გამეფებული. სწავლა სწარმოებდა ბავშვებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე. მასწავლებლებად მეტწილად შეუფერებელი და უკულტურო ადამიანები იყვნენ გამწესებულნი. ქართულ ენაზე ლაპარაკი აკრძალული იყო, ვინც გაბედავდა ამ წესის დარღვევას, სასტიკად ისჯებოდა.

მაგრამ ყველა მასწავლებელი როდი იყო ბავშვებისათვის საძულველი, ზოგი მათგანი გულწრფელად იყო დაინტერესებული ბავშვების გონებრივი და ზნეობრივი აღზრდით.

სასწავლებელში აკაკი გულმოდგინედ სწავლობდა და მოწინავე მოწაფედ ითვლებოდა. ის ბევრს კითხულობდა, გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს თვითგანვითარებას ანდომებდა.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲥᲡᲔᲑᲘ

აკაკის პატარობისას ძალიან უყვარდა ზღაპრებისა და შაირების მოსმენა. სამწყესურში თუ თევზაობის დროს, აკაკი და მისი ტოლი გლეხი ბიჭები კოკონს აანთებდნენ, გარს შემოუსხდებოდნენ და რიგრიგობით ყვებოდნენ ზღაპრებს, მერე შაირობასაც მიაყოლებდნენ.

აკაკის პატარობიდანვე დაუწყია შაირების შეთხზვა. ჯერ კიდევ სხვიტორში, მშობლების ოჯახში ყოფნის დროს, მას ბევრი სასაცილო შაირი და ლექსი შეუთხზავს **შინაურებზე. ზოგი მათგანი დღემდე შენახულა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თორმეტი წლის აკაკიმ ლექსების არა მარტო ზეპირად გამოთქმა, წერაც დაიწყო. პირველად აკაკის ლექსი გამოქვეყნდა 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში". მაშინ აკაკი თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო. ლექსი წარმოადგენდა ლერმონტოვის „პალესტინის რტოს" თარგმანს.

შემდეგ წელს იმავე ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა აკაკის ორიგინალური ლექსი. ამ ლექსის გვერდით დაბეჭდილი იყო ახალგაზრდა სტუდენტის ილია ჭავჭავაძის ლექსიც.

მაშინ აკაკი და ილია ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ერთმანეთს, ერთად კი იბეჭდებოდნენ ჟურნალში. ილიას აკაკიზე ერთი წლით ადრე ჰქონდა დაწყებული ლექსების ბეჭდვა.

უნივერსიტეტში

1859 წლის გაზაფხულზე აკაკი ოდესის გზით გაემგზავრა პეტერბურგს უმაღლესი განათლების მისაღებად. პეტერბურგის უნივერსიტეტში ამ დროს უკვე ოცდაათამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა.

ამ დროს, მესამოცე წლებში, რუსეთში უკვე დაწყებული იყო დიდი საზოგადოებრივი მო-

ძრაობა. ამ ხანებში მოღვაწეობდნენ დიდი რუსი მოაზროვნეები და მწერლები: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, გერცენი, პოეტი ნეკრასოვი, რომლებმაც თავიანთ ნაწერებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბძოლა გამოუცხადეს რუსეთის დახავსებულ წყობილებას—ფეოდალიზმს, ბატონ-ყმობას, სასტიკსა და განუკითხავს სოციალ-პოლიტიკურ რეჟიმს. ისინი მოითხოვდნენ ბატონ-ყმობის გაუქმებას, სასამართლოს რეფორმას, ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანას.

აკაკი ამ ხანებში სწერს შესანიშნავ ლექსებს, სადაც ის უმეტრის სამშობლოს თავისუფლებას და მშოველ ხალხს. ამიერიდან მის შემოქმედებაში მთავარ ადგილს იჭერს ორი მოტივი —ეროვნული და სოციალური.

1862 წელს აკაკიმ დასრულა უნივერსიტეტის კურსი და დაბრუნდა სამშობლოში.

ამ დროს ის უკვე საკმაოდ ცნობილი პოეტი იყო საქართველოში. მისმა ლექსებმა, რომელნიც ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდნენ უკანასკნელი წლების მანძილზე, საერთო ყურადღება მიიპყრეს.

სამშობლოში დაბრუნებისთანვე აკაკი ჩაება დიდ შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ მუშაობაში. ამის შემდეგ, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, იგი დაუღალავად ემსახურებოდა მშობელი ქვეყნის აღორძინების საქმეს. კალმით, სიტყვით, პრაქტიკული საქმიანობით ის მტკიცე დარაჯად უდგა სამშობლოს ინტერესებს.

აკაკის ლირიკა

აკაკიმ მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ძირითადი ადგილი ამ მემკვიდრეობაში ლირიკულ ლექსებს ეკუთვნით.

მთავარი თემა აკაკის ლირიკულ შე ოქმედებისა სამშობლო და მშრომელი ხალხია.

აკაკი თავის ლექსებით ხალხში აღვიძებდა პატრიოტულ შეგნებას, ასახავდა ისტორიულ გმირთა თავდადებას, მოუწოდებდა ახალგაზრდობას ებრძოლნათ, თავი დაედოთ სამშობლოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის.

აკაკი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბატონყმური წყობილება იყო გამეფებული.

თავისი ლექსებით აკაკიმ ამ სამარცხვინო და უსამართლო წყობილების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამის შემდეგაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე, აკაკი მედგარი დამცველი იყო მშრომელი ხალხის ინტერესებისა.

1905 წლის რევოლუციის დროს აკაკიმ დასწერა მგზნებარე ლექსები, მიმართული მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ ლექსებში მოხუცი აკაკი მოუწოდებდა ბარიკადებზე მებრძოლ რევოლუციონერებს, თავგანწირული და მედგარი ბრძოლებისაკენ.

აკაკის პოემები და პროზა

აკაკის კალამს ეკუთვნის მრავალი პოემა და ლექსად დაწერილი დრამატული თხზულება. მათ შორის ყველაზე ცნობილია: „ბაგრატ დიდი“, „თორნიკე ერისთავი“, „კიკოლას ნაამბობი“, „გამზრდელი“, „ნათელა“, „ალექსი“, „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“ და სხვ.

თავის პოემების შინაარსად აკაკიმ გამოიყენა ქართველი ხალხის გმირული წარსული ცალკეული ეპიზოდები. მან დაგვიხატა გმირ ქართველთა დაუვიწყარი სახეები, ქება და დიდება შეასხა სამშობლოსათვის თავდადებულ მეომრებსა და მოღვაწეებს.

აკაკი მარტო ლექსებს როდი წერდა. მას ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი მოთხრობა. მათ შორის საუკეთესოა „ბაში-აჩუკი“. აქაც აკაკიმ შინაარსად გამოიყენა საქართველოს წარსული ცხოვრება და საგმირო თავგადასავალი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებისა.

თავისი ბავშვობა და ყრმობის წლები აკაკიმ აგვიწერა საუცხოო ნაწარმოებში, რომელსაც „ჩემი თავგადასავალი“ ეწოდება.

„ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“, ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებია.

აკაკი და საბავშვო ლიტერატურა

აკაკის დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბავშვო მწერლობის შექმნასა და განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საბავშვო ლექსი, ზღაპარი, მოთხრობა.

თავის ნაწარმოებებში აკაკი ბავშვებს უნერგავდა მშობლიური ქვეყნის სიყვარულს, პატიოსანი შრომისადმი მიდრეკილებას, მადალ ადამიანურ თვისებებს.

აკაკიმ მრავალი ივგა-არაკი დასწერა. მის კალამსვე ეკუთვნის საუცხოო თარგმანები კრილოვის ივგა-არაკებისა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ხალხში.

აკაკი და ქართული კულტურა

აკაკი, გარდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობისა დაუცხრომელ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში.

აკაკი ბევრს მუშაობდა ქართული პრესის განვითარებისათვის. ის უახლოესი თანამშრომელი იყო პირველი ქართული გაზეთის „დროებისა". ახლო მონაწილეობას იღებდა გაზეთ „ივერიაში", აგრეთვე ჟურნალებში „კრებული", „კვალი" და „მოამბე".

ის ბევრს წერდა საბავშვო გამოცემებისათვისაც. მისი ლექსები და ზღაპრები იბეჭდებოდა საბავშვო ჟურნალებში „ნობათში", „ჯეჯილში", „ნაკადულში".

ერთ დროს აკაკი სცემდა საკუთარ ჟურნალს, რომელსაც „აკაკის კრებული" ეწოდებოდა. აკაკი ქართული მუდმივი თეატრის დაარსების ერთი მთავარი ინიციატორთაგანი იყო. ბევრს შრომობდა ქართული თეატრის აყვავებისათვის. წერდა პიესებს, თეატრალურ რეცენზიებს, კრიტიკულ სტატიებს, გამოდიოდა სცენაზე, როგორც აქტიორი, ერთ დროს კიდევაც რეჟისორობდა დრამატულ დასს.

აკაკი და ხალხი

აკაკის ძალიან უყვარდა ხალხში ყოფნა. ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კითხულობდა ლექსებს, ლექციებს, ეცნობოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ლხინს.

აკაკი ხალხის დიდი მოსარჩლე იყო, ის შეუპოვარი და მედგარი მტერი იყო მოხელეების, ჩარჩ-ვაჭრების, მეფის ადმინისტრაციის, — ყველა იმათი, ვინც ცდილობდა ხალხის დაჩაგვრასა და გაყვლეფას. ამიტომ მტრებიც ბევრი ჰყავდა დიდ მგოსანს. სამაგიეროდ ხალხის გულში მან მოიპოვა უზომო სიყვარული და პატივისცემა.

1908 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა აკაკის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

მადლიერი საშობლოს გულწრფელი გრძნობები საუკეთესოდ გამოხატა ვაჟა-ფშაველამ თავის ლექსში, რომელიც მან წაუკითხა მოხუც აკაკის საიუბილეო-საზეიმო სხდომაზე.

აკაკის საფლავი

აკაკი გარდაიცვალა 1915 წლის 26 ივნვარს (ძვ. სტილით) თავის მშობლიურ სოფელ სხვიტორში, მამისეულ სახლში, იქ, სადაც პირველად გაახილა თვალი.

მისი გარდაცვალების დღეები სამგლოვიარო დღეები იყო ქართველი ხალხისათვის.

თბილისში აკაკის დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო.

ერთადერთი გვირგვინი მიუძღოდა დიდი მგოსნის კუბოს წარწერით: „აკაკის — საქართველო".

აკაკის ნეშტი დაკრძალულია მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის საფლავის მახლობლად. იქვე დაკრძალული არიან დიდი ქართველი მწერლები და მოღვაწენი, — ყველა ისინი, ვინც თავისი ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა.

* * *

ოცდაათმა წელმა განვლო აკაკის გარდაცვალებიდან. ამ ხნის განმავლობაში ისტორიული — ცვლილებები მოხდა საქართველოს ცხოვრებაში. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ სხვა მრავალ ერებთან ქართველ ხალხსაც მოუპოვა ეროვნული და სოციალური თავისუფლება.

აკაკის ოცნება განხორციელდა.

თავისუფალი ქართველი ხალხი სიყვარულით იგონებს მის სახელს.

1945 წლის 8 თებერვალს, აკაკის გარდაცვალების დღეს, ქართველი მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, ავიდნენ მთაწმინდაზე და გვირგვინებით შეამკეს მისი საფლავი, ამით მათ გამოჰხატეს ქართველი ხალხის სიყვარული და მადლობის გრძნობები დიდი მგოსნისადმი.

გიორგი კაჭახიძე

მზიას სურვილი

ვერ აჯერებს ბაბუს სიტყვა
და ვერც ნაზი დედის ცრემლი,
რომ არა ყავს მამა მზიას
ჩვენი დიდი ქვეყნის მცველი;

რომ მტრის ტყვიამ ბრძოლის ველზე
გვერდით კი არ ჩაუქროლა,
მკერდში მოხვდა და სიკვდილთან
მას არგუნა მწვავე ბრძოლა.

მაგრამ მზიას, იმედიანს,
ეს ამბავი განა სჯერა?!
ფიქრობს: მამა სულ სხვა იყო,
მზეს სჩაგრავდა მისი მზერა;

ღონე ჰქონდა ერთ ვაჟკაცზე,
ერთ დევკაცზე უფრო მეტი.
ბეერს შემურდა ჩვენს სოფელში
მისი ღონე, მისი მკერდი.

ვინ შესძლებდა მის დაძლევას,
თავხედობას იმის ახლო.
თვით სიკვდილი როგორ დარჩა,
მამას ხელი თუ შეახო!

ფიქრობს მზია, თუმცა ზოგჯერ
დაატარებს ფარულ ნაღველს,
მაინც მკვირცხლად ყოველ დილით
ამ სურვილით კარებს აღებს:

დაინახოს დედის თვალში
კვლავ სიცოცხლის ბრწყინვა სრული
და ღიმილით მათ ეზოში
მამა დინჯად შემოსული.

ნახატები ს. მიხეიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კაციძე

საიდუმლო ბარათი

„თქვენს სამხედრო საიდუმლოს
არ გავამხელ, გულით მენდეთ...
და ფარულად გამაცანით,
ვიდრე ამბავს მოისმენდეთ.
„ვიდრე თქვენი თანატოლი
ბრძოლით სახელს გათქვამდეს
შორეული დნეპრის პირად
და ჩასთვლიდეთ ნამდვილ გმირად!“
ვთქვი და ჩუმად მივაჩერდი
ვრცელ რუკებით მორთულ კედელს,
ძიძიწვეის მაგიდასთან
და ერთმანეთს გადახედეს..
ჩუმად იჯდა ხუთეული,
როგორც შტაბი შეფიცულთა,
გივი, უჩა და არჩილი
ზურაბი და ჩვენი გულდა.
წელზე ერტყათ ყავრის ხმალი,
რეგულაური ლერწმის ლულით,
ჰქონდათ ოქროს ვარსკვლავებიც
საყელოზე აღნიშნული.
თურმე ღამით, საგანგებოდ
მოწვეიეს „მარშალი“ კრება, —
რადგან ჯარი „გურამელთა“
ხვალ თავდასმით იმუქრება.
დაე, მოკვდნენ თუ სიმრავლით
გიატანოს „მტერმა“ ლელო...
სურთ ემარული თავდადებით
საქართველო ასახელონ...
და აქ ხმალზე შეფიცულნი
მტკიცდებიან ერთ არსებად,
იქადიან, რომ ეს ბრძოლა
ნამდვილ ბრძოლას ემსგავსება!...
„ნამდვილ ომს და ნამდვილ ამბავს
მე გიამბობთ საგულისხმოდ,
რომ სამშობლო ქვეყნის მტერი
თქვენც მართალი გულით რისხთ.
„თქვენი ერთი თანატოლი
შორეული დნეპრის პირად
უკვე სახელგანთქმულია
სამამულო ომის გმირად!“

II

მიტოვებულ სოფელს ქარი
აწყდებოდა დაფეთებით,
ცად მიჰქონდა ბაი კვამლი
და ღრუბლების ნაფლეთები.
მიტოვებულ სოფელს ჯარი
შემოერტყა ირგვლივ სამტროდ,
რომ დაიპყრას იგი ძალით
დამკვიდრდეს და დაიზამთროს.

თავს ესხმოდა სოფელს მტერი
ტყვიით, ცეცხლის გაჩაღებით,
ძმეინვარებდნენ სათარეშოდ
დაგეშილი აჩაღები.
მთ ერთბაშად მთელი ხალხის
დამონება ჰქონდათ მიზნად.
მაგრამ ვინც კი ფეხზე იდგა
უმალ ყველა გაიხიზნა...
გადამწვარი კარმიდამო
თოფს დაეჩხვა როგორც ჩრდილი,
დარჩა მხოლოდ ცივი კერა

ბებერი და შვილიშვილი.
დარჩა მხოლოდ მიხაილი
ბიჭი ცხრა თუ ათი წლისა
გმირი პარტიზანის შვილი
უმცროსი ძმა სამი ძმისა.
ორნი წითელ ჯარში ჰყვანან
მესამე კი გაჰყვა მამას
და მრისხანედ დაიშექა
წუხელ მისმა თოფის ხმამაც.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
უკვე ტყეში გაუთენდათ —
ფლატეებში ჩასაფრებულთ
უბინადრო ქორთან ერთად.
მტერს ლაჩრულად არ უფრთხიან
ირგვლივ ალყად შემოსეულნი,
ყინვაც ვერ სძლევს ცივი რისხვით
და ქარბუქით ნაწრთობ სხეულთ.
ტყე, თოვლი და ღამის ბინდი
მათ დაფარავს გულით ცდილა,
და ყველაე თეთრად დათოვლილებს
უთენდებათ თეთრად დილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უეცრივ შემოესმათ
ფეხის ხმა და სუნთქვა ფრთხილი.
ჩაუსაფრდნენ... ტყვეში ჩუმად
მიპყვებოდა ჩრდილს აჩრდილი.
მტერს ელოდნენ იდუმალი
ხმაც არ იყო დასანდობი
და აჩრდილებს მხნედ შესძახეს,
მოიმარჯვეს ხელში თოფი.
მაგრამ დარჩა გაოცებათ
მათი რისხვა წაძიერი.
მტრის მაგიერ მოეგებათ
სამი წითელარმიელი.

III

რისხვა იქცა სიხარულად
გაუწოდეს ძმურად ხელი,
ვინაობა გამოკითხეს
და ამბავი წუხანდელი.
...ბნელი ღამით წამოსულან
დაუზვერავთ მტრის ბანაკი,
მათი წყობა გაუგიათ
მათი სჯა და ლაპარაკი.
მაგრამ მტერმა გზა გადუკრა
ვერ გაბრუნდენ ისევ მარდად,
რაღა ექნათ, უნებლიეთ
ისევ ტყისთვის მოუმართავენ.
პარტიზანთა მეთაურმა
მათ გულდასმით მოუსმინა,
შეიფარა მზვერავები
შესაფერი მისცა ბინა...
და ამ ამბით ჩაფიქრებულს
მასაც მათი ჯავრი ღრღნიდა:
უთვალავი მტერი იყო
შემორტყმული ყოველ მხრითა,
თორემ ეხლა შეუმჩნევლად
მტრის რკალი რომ გაერღვიათ, —
თითო სიტყვა მზვერავისა
მტერს ელოდა ფულში ტყვიად.
მას დასცემდა უძალ თავზარს
იერშით ჩვენი ჯარი, —
აქვე სოფლის განპირას
გრიგალივით ჩუმად მდგარი.
მაგრამ გზაა გადაჭრილი,
საფრთხეს თვითონ მოელიან.
ზეცა ნისლით იბურება,
ღრუბლებს კვამლი მოერია!
კიდევ ერთად — ერთი დილა
ალყის ქვეშ თუ გაუთენდათ, —
უსათუოდ მტრის ლაშქარი
გადასთელავს ყველას ერთად!..
სხეიდან. შექმნეს სჯა-ბაასი
ტყეს ვერავინ ვეღარ გასცდა.
მიხაილოს ძმაც აქ არის
ხუთმეტი წლის ახალგაზრდა.
სდუმს თავისთვის მორიდებით
აღარ ამბობს აღარაფერს.
სდუმს. და მაინც ხელით უცებ
მტრედს უბიდან ამოაფრენს...
მიჩვეული იყო მტრედი
სახლში ფრენას, პატარებთან,
და უგულოდ ვერ დასტოვა
თბილი უბით ატარებდა.
სთხოვს რომ მტრედიც მიიჩნიონ
პარტიზანთა მეგობარად;
— საიდუმლოს თუ ენდობით
ის მიიტანს სოფლად ბარათს!..
მტრედი მართლაც ერთი წამით
ჩაიფრენდა ისევ სოფლად,
ფრთებით ბარათს გადასცემდა
დატოვებულთ ქოხში ობლად.
მათ კი იქვე წითელ ჯარში
შეუძლიათ მიირბინონ...
მაგრამ, გზაში იქნებ მტრედი
მტერმა დასჭრას სასიკვდილოდ! —
და ბარათი გადიკითხოს,
მიხვდეს მათი სამყოფელი,
უნებლიეად თვითონ გახდნენ
ერთმანეთის გამქრობელი...
— ფიქრი ნუ გაქვთ, გავიმარჯვებთ! —
არმიელმა სთქვა და სწრაფად
საიდუმლო რამ დასწერა
და მტრედს მხარქვეშ გამობა...

IV

გაკვამლული ცის სივრცეში
მტრედმა თეთრი ფრთა გაშალა,
გადიფრინა ბრძოლის ველი
ომის გრგვინვით არ დამფრთხალა!
თვითმფრინავთა ორომტრიალს
და ტყვიას არ დაერიდა,
შორს მიაწყდა ქოხის კარებს
ეით ნატყორცნი ჰაერიდან...
გამოიჭრა მიხაილო —
ბიჭი, ცხრა თუ ათი წლისა,
ხედავს ქოხის კართან გდია
თეთრი მტრედი მისი ძმისა!
თუმცა სისხლი დასჩენია,
გული ისევ უფარფატებს...
წყვილი ცრემლი მოადგება
მიხაილოს შემკრთალ თვალებს!
აიტაცებს ხელში ზრუნვით
და მოხუცთან მიიჩქარის.
მებრძოლივით მათი მტრედიც
დაკოდილი ტყვეით არის.
ეფერება გულითადათ
ბრძოლის ველზე დაჭრილ ფრინველს,
და ფრთების ქვეშ საიდუმლოდ
ხედავს ბარათს გასაკვირველს...
იცის, იცის მიხაილომ
რომ ასეთი თავდადებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომმი მტრედებს
ფრთებით დაქვთ ბარათები...
მაგრამ ნაწერს სულ ამოდ
დასცქეროდა იგი დიდხანს,
თვალს აპყეტდა, უვიცოვით
სტრიქონი ვერ წაიკითხა.
სთხოვა მოხუცს და ბარათი
მიუტანა წამწამებთან,

უკეთებდა სათვალეებს
დაუხდომლად აწამებდა...
ვერაფერი გაარკვია,
დაიტუქსა პაპისაანაც:
— ერთმანეთთან სათამაშოდ
მოვი

ნინო ნაკაშიძე

ნახატები ს. მიხაილოვისა



(ლ ე გ ე ნ დ ა)

ადი მოძრაობა იყო დღეს ქალაქში მცხეთაში. წიწამურიდან, ავჭალიდან და სხვა ახლომახლო სოფლებიდან მცხოვრებნი მხიარული ხმაურით, შეუწყვეტელ ნაკადად მიიმართებოდნენ არმაზქალაქისაკენ, სადაც უკვე ზღვა ხალხს მოეყარა თავი და არმაზჭალაქის საზეიმო სასახლის წინ ირაზმებოდა. ყველა ცდილობდა ადგილი დაეჭირა ქალაქის გალავნის შეჯავშნულ ალაყაფის კარებისაკენ მიმავალ გზაზე.

ალაყაფის კარების ორივე მხარეს აღმართულ მაღალ კოშკებზე იდგნენ მშვილდ-ისრით შეიარაღებული მხრი-დარაჯები, ხელში გრძელი მოელვარე საყვირები ეჭირათ.

დღეს მოელოდნენ ირანელებთან ბრძოლაში გამარჯვებულ მეფე ვახტანგ გორგასალს.

ხალხი ღელავდა, გუგუნებდა. ყველგან ისმოდა სიცილი, სიმღერა, ლაპარაკი.

მზე ჯერ კიდევ კარგა მაღლა იყო, რომ დარაჯებმა კოშკებზე ასწიეს საყვირები და შორს გაისმა იმათი ძალუმი ხმა.

ხალხი შეტორტმანდა, ხმა გაკმინდა, ფეხის ცერებზე შედგა და მოუთმენელ მზერად გადაიქცა.

შორიდან მოისმოდა ლაშქრული სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

გაისმა გალავნის გარეთ მდგომი ხალხის მისალმების შეუწყვეტელი ძახილი.

— გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ მეფეს და ლაშქარს.

ალაყაფის კარებში მიდგომოშმ დროშის ფრიალით შემოაჯირითა მაღალი წითელი ცხენი. და გამოჩნდა ის, ვისაც ასეთი სიყვარულით ელოდა ხალხი.

აუჩქარებლად შემოვიდა მეფე ვახტანგი ალაყაფის კარებში თავისი თეთრი ბედაურით. მისი ფარ-ხმალი და ჯავშან-მუზარადი ბრწყინავდა მზეზე. მის ვაკაცურ გაშუქებულ სახეს შვენოდა ღიმილი. სიხარული და ძლევამოსილება ენთო მის დიდრონ თვალებში. ნაღარა-საყვირისა და დაფის ხმამ მოიცვა მთელი ქალაქი და გრგვინვასავით იგრიალა ხალხის გულიდან ამოხეთქილმა მისალმებამ:

— გაუმარჯოს ჩვენ ლომგულ მეფეს!

— დღეგრძელი იყოს ჩვენი სამშობლოს დამცველი მეფე ვახტანგი!

— გამარჯვება უძლეველ მეომარს, ქართველი ერის დიდებას!

და ცას აბნელებდა ხალხის მიერ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად ჰაერში ატყორცნილი ქუდები და ყაბალახები.

მეფეც მხიარული და ბედნიერი უპასუხებდა:

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგვაკლოს ქართველ ერს!

მეფეს მიჰყვებოდნენ დიდებულები, შემდეგ მძევლად წამოყვანილი ირანის შაჰის შვილი პატარა ხოსრო.

პატარა ხოსრო იჯდა ფარჩის საფენით გადაფარებულ აქლემზე და გვერდით მეორე აქლემით ლალა მოჰყვებოდა. ბავშვს ხელში ნაცარა მოცისფრო ლამაზი ქოჩორა ფრინველი ეჭირა.

შემდეგ მოდიოდა მშვილდ-ისრითა და შუბებით შეიარაღებული ჯარი, ტყვეები, აუარებელი ალაფით დატვირთული ჯორ-აქლემები და ისევ ჯარი.

მიუახლოვდა თუ არა მეფე სასახლეს, გადმოხტა ცხენიდან და მხიარული სწრაფი ნაბიჯით გასწია კარებისაკენ. დარბაზიდან მორბოდა სპარსულ ტანისამოსში, წითელ სანლოებში გამოწყობილი, ოქროს ფარფლებით თავმორთული პატარა გოგონა. მისი ხმა ზარივით წკრიალებდა:

— მამა, მამა მოვიდა!...

ბავშვს უკან მოსდევდა სეფე ქალი, შეშინებული.

— არ შეიძლება, მამისავარ, დაბრუნდი, ჯერ ბატონმა მეფემ დედოფლისა და დიდებულებისაგან უნდა მიიღოს სალამი, — ეუბნებოდა ის. უნდოდა დასწეოდა და დაეპირა.

მაგრამ მამამ უკვე აიტაცა ბავშვი ხელში და მიიკრა გულზე.

— ოჰ, როგორ გაზრდილხარ მამისავარ, როგორ დამშვენებულხარ, იცი როგორ უყვარხარ მამას... და ხელში აყვანილ ბავშვიანად გასწია მან დედოფლისაკენ.

დედოფალი მაღალ, ოქროთი მოოქვილ ტახტზე იჯდა, სეფე ქალებით გარშემოხვეული, მეფის მოახლოვებისას სწრაფად ადგა და მოკრძალებით გასწია მისკენ.

— ელენე, რა მიხარია რომ ამდენი ხნის უნახავი, ისევ თქვენთანა ვარ და გხედავთ ისევ მხიარულსა და მშვენიერს...

— ჰოი მეფეე ბატონო, ჩვენ ბედნიერებას საზღვარი არა აქვს თქვენი გამარჯვებული მხიური სახის ხილვით. — დაიხარა და თაყვანი სცა თავის მეუღლეს, გმირ მეფეს.

— ჩემო საყვარელო დაო მირანდუხტ. — მიმართა დედოფლის გვერდით მდგომ დას ვახტანგმა. მირანდუხტი ადაეხვია ძმას და მოწიწებით ეამბორა მარცხენა მხარზე.

მეფემ ჩამოსვა ბავშვი და მდაბლად მიესალმა სეფე ქალებს და დიდებულებს.

უცებ გაისმა დარბაზში მამისავარის ტირილი:

— მამავ ბატონო, არ მაძლევს.

— მიეცი, მიეცი ჩიტი ბატონის ასულს, — გაისმა აქეთ-იქიდან გაჯავრებული ხმები.

ვახტანგმა მოიხედა და დაინახა პატარა მამისავარს ჩაეკიდა ხელი ხოსროსათვის და არ-მევდა მოცისფრო ფრინველს, რომელიც მას მიხუტებული ჰყავდა გულზე და არ აძლევდა. შეწუხებული და შეშინებული ლალა, ხმამაღლა ეუბნებოდა ბავშვებს.

ვახტანგს ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— მამისავარ, მოიხმო მან შვილი, თავზე ხელი გადაუსვა, სახეში ჩახედა და ნელი ხმით უთხრა:

— შენ გსურს ჩიტი წაართვა?! არ შეიძლება.

— ლამაზი ჩიტი მე მინდა. — წარმოსთქვა ცრემლმორეულმა მამისავარმა, მაგრამ ხელი კი მაშინვე გაუშვა. — ხოსრო, შენ ნუ გეშინია, ფრინველს არავინ არ წაგართმევს. უთხრა მან პატარა ხოსროს და მიუბრუნდა დედოფალს:

— ელენე, ეს ბავშვი არის ირანის შაჰის შვილი, ჩვენი მძეგალი. დღეიდან შენი მფარველობის ქვეშ იქნება. შენ კი, მამისავარ, შეგიძლია ეთამაშო ხოსროს, მხოლოდ ჩხუბი არ იყოს.

— ჩიტი მეც მინდა.

— ჩიტს მე გიშოვნი.

— მაშ მომეცი.

— ახლავე? მე შენ ხვალ გიშოვნი.

— ამისთანა ჩიტს მიშოვნი, მამავ ბატონო?

— მე შენ ხოხობს გიშოვნი, ლამაზ ოქროსბოლოიან, ფირუზისყელიან ხოხობს.

— აჰ, მე მამა ოქროსბოლოიან ხოხობს მომიყვანს. — შემოჰკრა ტაში მამისავარმა და უთხრა ხოსროს — ახლა მაინც მომეც ცოტა ხანს დაგვეპირო ხელში შენი ჩიტი, მეც ჩემს ხოხობს დაგაპირინებ.

ხოსრომ ცოტა ყოყმანის შემდეგ მიაწოდა მამისავარს ფრინველი და ორივენი ლაპარაკით მივიდნენ დედოფალთან.

ყველას გაეცინა.

ელენემ გადაუსვა ბიჭუნას თავზე ხელი.

— რა პატარაა, — სთქვა მან. და უდიდოდ კი უნდა იყოს. — ის მიუბრუნდა ერთ სეფე ქალს: — დუხტი, ჩემს სასახლეში, სამხრეთის კოშკში მოაწყე ეს ბავშვი, ორი გამდელი მიუჩინე და ლალაც მივიდეს ხოლმე ყოველდღე სანახავად.

მეფე მხიარულად ესაუბრებოდა დიდებულებს, გარედან ისმოდა ხალხის გუგუნი.

წინ წამოდგა მანდატურთუხუცესი და მოახსენა:

— აუარებელი ხალხი მოაწყდა სასახლეს, მეფევ ბატონო, ყველას უნდა ნახოს შენი გამარჯვებული ნათელი სახე.

— ახლავე, — სთქვა მან, — მხოლოდ, — მან აქეთ-იქით მიმოიხედა, ვიღაცას ეძებდა. დიდებულებით სავსე დარბაზში დაინახა სახლთუხუცესი და გაცინებულმა უთხრა:

— სახლთუხუცესო, უთხარი ბაზიერთუხუცესს, რომ ხვალ გათენებისას სანადიროდ მივდივარ და ყველაფერი მზად იყოს.

— გავბედავ და მოგახსენებ, რომ დასვენებაა...

— დასვენება?.. არა, ნადირობა იქნება დასვენება და, მეორეც, ჩემს ასულს დავპირდი ხოხობის მოყვანას. ვახტანგი მოტრიალდა და დედოფალთან ერთად გავიდა ხალხის წინაშე ბრწყინვალე და ბედნიერი. უკან მიჰყვებოდნენ დიდებულები და სეფე ქალები.

სასახლის წინ დიდ მოედანზე ხალხი ზღვასავით ღელავდა და გამოჩნდა თუ არა მეფე-დედოფალი, იგრიალა:

— გამარჯვება და დიდება ჩვენს გმირ მეფეს, სამშობლოს დამცველს, განმათავისუფლებელს და ამ ზღვა ხალხმა ერთხმად დაიგუგუნა სიმღერა-ჰიმნი:

ვახტანგ მეფევ, ღმერთს უყვარხარ,
ციდან ჩამოგესმა რეკა
იალბუზს, რომ ფეხი შედგი,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა...

— ვაშა, ვაშა,—გაისმა ქუხილივით ხალხის ხმა.

წინ წამოდგნენ ერისთავთერისთავი მცხეთელი, მგოლსანი დეროკ და მთიული თადარაშვილი. ერისთავთერისთავს ხელში ოქროს მუზარადი ეჭირა. მუზარადზე წინა მხარეს სახელგანთქმული ოქრომჭედლის ხვანხვა ხვანხველის მიერ გამოსახული იყო მგელი, უკან კი ლომი.

— დიდო მეფევ. შენმა მადლიერმა ერმა მოგგართვა ეს მუზარადი, ნიშნად გმირობისა ნიშნად იმისა, რომ შენი გული უშიშარია და შენი მუხლები მაგარი როგორც მგლისა და ხარ უძლეველი როგორც ლომი. ამიერიდან შენ უნდა ატარო ეს მტრის თავზარდამცემი მუზარადი. ნება მიბოძე დაგბურო, მეფევ ეს მუზარადი თავზე, რომ მტერი ძრწოდეს შენ დანახვაზე.

მეფემ მოიხადა თავის მუზარადი, დაიხარა და ერისთავთერისთავმა მცხეთელმა დახურა მგელ-ლომიანი მუზარადი.

მეფე ვახტანგი იდგა აღელვებული. თვალები კმაყოფილებით უელავდა.

— ქართველო ერო,—დაიგრგვინა მისმა ძალუმმა ხმამ: —მე კი არა, თქვენ მიერ არის ძლეული ხაზარეთი, პაპანიკები, ჩერქეზეთი, საბერძნეთი და ახლაც გარეკილ იქნა საქართველოს დასაპყრობად მომდგარი ირანელთა უთვალავი ჯარი. შაჰის შვილი ხოსრო ჩვენ მოვიყვანეთ მძევლად და იმედია ირანი ჩქარა ვერ დაარღვევს ჩვენს შორის დადებულ ზავის პირობებს.

ვაშა და დიდება ჩვენ ძლევამოსილ ჯარს, რომელიც თავს არ ზოგავდა მტერთან ბრძოლაში სამშობლოსათვის. დიდება და მარადის ხსოვნა იმათ, ვინც თავი შესწირა სამშობლოს განთავისუფლების საქმეს!

ქართველო ერო, ჩვენ მოვიტანეთ აუარებელი ალაფი. მთელი ალაფის ნახევარი ჩვენ უძღვნეთ მხედრობას, ნახევარიც იმათ ოჯახებს, ვინც სამშობლოს ვეღარ დაუბრუნდა.

ალაფის განაწილება ევალება საქართველოს დედოფალ ელენეს, ერისთავთერისთავს მცხეთელს და მთიულეთის მხედართმთავარს თადარშვილს.

აღტაცებულ ხალხში სიხარულის ყიჟინა ატყდა.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა მეფესა და დედოფალს!

— მძეკალი, მძეკალი გვაჩვენეთ, დიდო მეფევ! —გაისმა ხმები.

მეფემ მოიხედა და მაშინვე ერისთავთერისთავმა ასწია პატარა ხოსრო. ბავშვი მოუსვენრად ტოკავდა ერისთავთერისავის ხელში, თვალებიდან ცრემლები გადმოსდიოდა და ხელები ფრინველისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომელიც აყვანის დროს ლალამ გამოართვა.

— მეც, მეც მინდა ჩვენი ერის დანახვა. —გაიწკრიალა მამისავარის ხმამ.

— დაგვანახეთ მეფის ასული!—იგრიალა ხალხმა.

მეფე დაიხარა დედოფლისაკენ, რომელიც იდგა ბედნიერი თავის ახოვან, მხარბეჭიან, ბრწყინვალე მეუღლის გვერდით ნაზი და სათუთი ბიზანტიურ თვალმარგალიტით ამოქარგულ საზეიმო ტანისამოსით და ძოწეული ყარყუმის სარჩულიანი წამოსასხამით მორთული.

დედოფალმა ელენემ აიყვანა მამისავარ და გადასცა ვახტანგს. ვახტანგმა ასწია მაღლა ბავშვი გაცინებული და ხელებგამწოლილი.

— აჰა ქართველნო ჩემი ასული!

— ღმერთმა გაუზარდოს დიდებულ მეფეს და დედოფალს მშვენიერი ასული მამისავარ, — ისმოდა შეძახილები.

— ქართველო ერო და მხედრობავ, სამი დღის შემდეგ საქართველოს დედოფალი ელენე გთხოვთ გვეწვიოთ სადილად ამ მოედანზე, —მიმართა ვახტანგმა ხალხს.

ცხენები მოართვეს. მეფე-დედოფალი, ბავშვები და დიდებულები შესხდნენ ცხენებზე და პომპეულის ხიდით გასწიეს მცხეთის სასახლისაკენ, არაგვის პირას.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცეული მონა*)

ჯავახეთის მხარე ვულკანური მხარეა. მართალია აქ ვულკანური პროცესები კაი ხნის წინათ შეჩერდნენ, მთის მწვერვალები უკვე ჩამქრალნი არიან, მაგრამ, როგორც სჩანს, მიწის გული ჯერ კიდევ არ გაჩერებულა და იგი ფეთქავს.

საღამო ხანი იყო, სოფლამდე ჩასვლა აღარ მინდოდა, ერთ წყაროს პირას დავაყენეთ ჩვენი ცხენის ურემი და გადავწყვიტეთ ჩვეულებრივად ღამე ცარში გვეთია.

ღამე კაი ხნის გადასული იყო. ნაბადში გახვეული შეეკეროდი ცარსკვლავებს. უცბად გუგუნი მომესმა, აბულსამსარას წვერიდან დაიწყო ეს გუგუნი და ჩვენსკენ მოდიოდა, ჯერ შევკრთი, მაგრამ მალე მივხვდი, რაც იყო. შარშან მთა ბორჩალოში რომ ვმუშაობდი, ასეთი ფუფუნი შამბანისა და ეძლიელის მწვერვალიდან იწყებოდა და ჩვენსკენ მოემართებოდა. ეს მიწისძვრის დასაწყისი იყო.

ყრუ გუგუნი მოგვიახლოვდა და მიწამ რყევა დაიწყო. ცხენებმა ადრევე დაიწყეს ტოკვა და ფრუტუტნი.

„ნეტავ რას იზამენ ჩემი თანამგზავრები“, — გავიფიქრე და გადავხედე ნაბდებს, რომელნიც ჯერ უძრავად იყვნენ, მაგრამ აი ორივე შეიძძრა, შეიძრა, და ეცბად წამოსტნენ.

—ამხანაგო ნიკო, მიწა გარბის, გარბის— ყვირის ტატიანა, მე გაჩუმებული ვარ, მიწა კი ირხევა, რყევა ძლიერდება.

— გაიღვიძეთ, რაღაც ხდება. — ისმის საშას ხმა. ვეღარ მოვითმინე, ხმამაღლა გავიცინე და ავუხსენი, რომ ასეთი მიწისძვრები ამ ვულკანურ მხარეში ხშირია ხოლმე.

ქართლის ცხოვრებაში მოხსენებულია დიდი მიწისძვრა, რომელიც 1088 წლის 16 აპრილს მომხდარა. ამ დროს დაინგრა მრავალი ტაძარი და ციხე-სიმაგრე. მათ შორის დაინგრა ციხე-ქალაქი თმოგვი.

1899 წელს ჯავახეთში მოხდა დიდი მიწისძვრა, დაინგრა 28 სოფელი და ქ. ახალქალაქი. ერთი თვის განმავლობაში მიწის ნელი რყევა კიდევ ისმოდა.

1920 წელსაც მოხდა მიწისძვრა და მრავალი სახლი დაინგრა.

ღამე უკვე გატყდა, ისედაც ვერ იძინებდნენ ჩემი თანამგზავრები და ახლა რაღა დაიძინებდათ. მოვაგროვეთ შარშანდელი გამხმარი კაპაჭი ღერიოხეშეშიან ბალახისა და მალე ჩვენმა ჩაიდანმა ჩუხჩუხი დაიწყო.

ნელნელა ავყეთ სამსარის ფერდოს, სიარული გვიძნელებდა, მთელი ფერდო ქვაყრილით იყო დაფარული, უზარმაზარი კლდეები რაღაც ქაოტურ ლანდშაფტსა ჰქმნიდნენ. ზოგან კი პატარა მდელოები უხვად იყო დაფარული მთის მცენარეებით, ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა. მათ შორის ვეძებდით სანტრელ მცენარეებს.

სამსარის ქედიდან ხელისგულივით გადაიშალა მთელი ზეგანი ძრავალი ტბით დამშვენებული. აგერ ხანჯალის ტბა, საღამოს, ბოზაპინი, ვაჩიანი, მადატაფა და სხვანი, ცოტა ზევით რომ ავიწიოთო, ყველაზე დიდ ტბას, ტბა ფარავასსაც დავინახავთ და ტბისყურსაც. მაგრამ ამისათვის მწვერვალზე უნდა ავსულიყავით.

ჯავახეთი ერთ-ერთი უმდიდრესი მხარეა ტბებით, კავკასიაში სხვა რომელიმე მხარე თითქმის ყველა თანაბარ ფიზიკა-გეოგრაფიულ მდგომარეობაშია, მათი საერთო დამახასიათებელი ისაა, რომ ყველა ფონი ტბაა, სიღრმე ნაკლები აქვს. ყველაზე ღრმა ტბისყურეა, მისი საშუალო სიღრმე 16 მეტრია, ზოგან 33 მეტრი სიღრმე აქვს. ტბაფარავანის ყველაზე ღრმა ადგილი 3 მეტრია, საშუალო 1 და 80 სანტიმეტრი, საღამოს ტბის საშუალო სიღრმე 1,55 მეტრია (ულრმესი ადგილი 2,6 მეტრი), ხანჯალის

*) ნაწყვეტი წიგნიდან „მთა და ბარში“

ტბის საშუალო სიღრმე ნახევარი მეტრია, უღრმესი ერთი მეტრი და 34 სანტიმეტრი და ასევე სხვანიც. ტბების ასეთი სიღრმე პირველ რიგში იმის მაჩვენებელია, რომ ეს ტბები გადაბერებულია.

რა არის ტბის სიბერე?

ტბას ახასიათებს სამი პერიოდი: ახალგაზრდობა, ეაეკაცობა და სიბერე. სიბერის პირველი ნიშნებია ნაკლები სიღრმე, ნაპირის დაფარვა მცენარეებით და შემდეგ ამ მცენარეების ფეთი ტბის გულში შეკრება. როდესაც მცენარე უკვე ტბაში შეიკრება, იგი მას თანდათან ავსებს, მისი ნაშთები ფსკერს ჰფარავენ, წყალი ნელ-ნელა თხელდება და ბოლოს წყალს სარკე ეკარგება, მთლიანად მცენარეებით იფარება და ტბის ნაცვლად ჭაობს ვიღებთ. მოკვდა ტბა და ნაცვლად ჭაობი მივიღეთ, რომელიც საბოლოოდ მცენარეებით იფარება. ამრიგად ჭაობიც შეიძლება მოკვდეს და საბოლოოდ ნესტიანი მდელო მივიღოთ. ჯავახეთი სავსეა ასეთი ნატბევრებით, ბევრ მათგანს უკვე მოუტამია თავისი სიცოცხლე.

ტბა თუ ღრმაა, ნაპირი ჩაკვეთილი, უსწორმასწორო და უმცენარეო აქვს, იგი ახალგაზრდაა, ამ მხრივ, სხვაზე ახალგაზრდა ტბებისყური უნდა იყოს.

ეს ტბები, როგორც სჩანს, გაჩნდნენ მაშინ, როდესაც ვულკანები მოქმედებდნენ, წამოსულმა ნიოვარმა გადაღობა გზა ბევრ მდინარეს და ტფოობში გაჩნდა ტბები, რომელნიც აქამდე შემოგვრჩენია.

ყველაზე დიდი ტბაა ტბაფარავანი. მისი სიგრძე 9,6 კილომეტრია, სიგანე 6, საერთო ფართობი წყლის სარკისა 37 კვადრატული კილომეტრია. ხაზაპინის ტბის სარკე 26 კვადრატულ კილომეტრს უდრის, ტბისყურისა — 14,42 კვადრატულ კილომეტრს, ხანჯალისა — 13,69 კვადრატულ კილომეტრს.

თევზი გვხვდება ტბისყურში, ტბაფარავნის, საღამოს, ხანჯალის და ბოლდაშენის ტბებში.

ამ ტბებში მალე დავიწყებთ საწარმოო თევზის მოშენებას.

ამ საუბარში რომ ვიყავი, ზევიდან რაღაც ხმაური შემომესმა, ავიხედე, სწრაფად დავავლე ხელი წერაყანს, მასალას, მარჯვენა ხელი მკლავში წავავლე ჩვენს ქიმიკოსს და შევძახე — აბა საშა, მეორე მკლავში შენ და სწრაფად გავცილდეთ ამ ადგილს — პირდაპირ, ფეხდაფეხ გავწიე, მივრბიენარ და მივამთრეკ ჩვენს თანამგზავრს, ზევიდან კი მესმის მოახლოებული ხმაური, ჩავირბინეთ პატარა ხევი და გავედით მეორე ნაპირზე, ღრმად ამოვისუნთქე. გავიხედე, უზარმაზარი კლდეების ზვავი საშინელი შექანქანებ-ლით მოდიოდა ქვევით, აი გადაირბინა ის ადგილი, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინათ წყნარად ვიდექით ტფოობზე, ჩასცილდა მას და გავაკებულ ადგილზე გაიშალა. ეს სამსარის ფეხზე მოსწყდა კლდე, ჩამოვარდა და მან აიყოლია სხვა მრავალი ნაწილი ქვაყრილისა, რომელიც უზარმაზარ ზვავად გადაიქცა.

წარმოიდგინე, იქ რომ ვყოფილიყავით, რა დაგვემართებოდა. ნიშანსაც კი ვერ ნახავდნენ.

თავისუფლად ამოვისუნთქე და შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე. გადავხედე ტატიანას, მას თვალები დაეჭყიტა და გასცქეროდა გალმა ხევს.

— ეს რა ქვეყანაა, ყველგან მიწა გარბის!... სთქვა გაკვირვებით, მოუსვენარი მიწა გქონიათ.

— ჩვენი მიწა ახალგაზრდაა... დაატანა ალეკსანდრემ.

— სამგიეროდ ხალხი ვცხოვრობთ ძველი.

გიორგი ლომთათიძე

ქართული კულტურის ძველი კერა

წერილი პირველი*)

ლევანდელი მცხეთა ერთი პატარა დაბაა. მოუსვენარი არაგვისა და ხაადრეკად დადინჯებული მტკვრის შერთვის ადგილას არის გაშენებული იგი და მხცოვანი, შრავალჭირგადახდილი კაცის სიდარბაისლით გაჰყურებს ზაჰესის საგუბარს და რკინიგზის ლიანდაგზე უწყვეტლივ ძრავალ ელექტრომავლებს.

ძველი დაბა თითქოს ერთი ბუმბერაზის ირგვლივ არის განლაგებული. ეს ბუმბერაზი სვეტიცხოვლის საკათალიკოსო ტაძარია, ქართული სახელოვნების ლიამყე და მრავალი გაძარცვული ქართველის უკანასკნელი სავანე. მისი მედიდურად ზეატყორცნილი გუმბათი და კეთილშობილი ცისფერრუხი ქვის პერანგით მოსილი კედლები ხიბლავენ და იზიდავენ კაცს თვალს. სვეტიცხოვლის ჩრდილოეთით, იქ, სადაც საქართველოს სამხეიდრო გზა დაბას გასცდება და კავკასიონისაკენ გაიჭრება, მეორე ტაძარი დგას, ბევრად უფრო მცირე და ძორიდებული, მაგრამ თავისებურად აგრეთვე მშვენიერი. ეს ტაძარი „სამთავროს დედათა მონასტრის“ სახელით არის ცნობილი. სვეტიცხოველიცა და სამთავროც XI საუკუნეში არიან აგებული.

მაგრამ მცხეთას შეუძლია იამაყოს მესამე, გაცილებით უფრო ძველი და სხვა მხრივაც უფრო საინტერესო ძეგლით, ეს არის „ჯვარის საყდარი“, აღმართული არაგვის მარცხენა ნაპრას, მაღალ კლდოვანი ბორცვის წვერზე. იგი ისე ოსტატურად შერჩეულ ადგილზე და ისეთი ფორმისა აუგია ხუროთმოძღვარს, რომ ბორცვის ბუნებრივი გაგრძელება ჰგონია შორიდან მაცქერალს, მასზე დაზრდილი რამ და არა დაშენებული. ჩვენი მეცნიერების აზრით, ჯვარის საყდარი VII საუკუნის დამდეგს უნდა იყოს აშენებული.

არმაზჭალაქი

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ძველი წელთაღრიცხვის ბოლო სამოოდე საუკუნისა და ახალი წელთაღრიცხვის პირველი ხუთი საუკუნის განმავლობაში მცხეთა საქართველოს — მაშინდელი სახელწოდებით ქართლის — დედაქალაქს წარმოადგენდა. აქ იყო უძველესი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცენტრი. მცხეთიდან დაფუძნა ქართლის გაქრისტიანება ანუ, მემატიანეთა სიტყვით, „მოქცევა“. მხოლოდ VI საუკუნიდან საბოლოოდ შეეცვალა მცხეთას თბილისი, როგორც საქართველოს ახალი დედაქალაქი.

მაშასადამე, სამივე ზემოაღწერილი ძეგლი აგებული ყოფილა უკვე მას შემდეგ, რაც მცხეთა აღარ წარმოადგენდა საქართველოს დედაქალაქს. და თითქოს მისი დედაქალაქობის ხანას თვალსაჩინო და ხელშესახები ნაშთი არა დაუტოვებიარა ჩვენთვის. ეს მით უფრო საკვირველია, ჩვენ ეგეჩვენებოდეს, რომ ქართველი მემატიანეებიც და უცხოელი მოგზაურ-ისტორიკოსებიც იმდროინდელ მცხეთას აგვიწერენ, როგორც მტკვრის „ფიდა-გამოდა გაშენებულ დიდ ქალაქს, რამდენიმე უბნისაგან შემდგარს და რამდენიმე კარის მქონეს. ამ ქალაქში კარგად მოწყობილი ბაზრები თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები და დიდრონი, ხუროთმოძღვრების წესისამებრ აგებული და კრამიტით დახურული შენობები ყოფილა. მტკვრის მარჯვენა ნაპრზე, ფრიალო კლდოვან ქედზე მდგარა ზღუდეშემოვლებული შიდაციხე, რო-

*) წერილები მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

ბელიც თურმე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იცავდა გალმა მდებარე უბნებს. ისეთი ხანაც იყო, როდესაც ქართლის სამეფო ორად გაყოფილა და ქართლს ორი მეფე ჰყოლია. მტკვრის მარცხნივ მდებარე მხარის მეფე საკუთრივ მცხეთაში მჯდარა, ხოლო მარჯვენა მხარისა — კლდოვან ციხე-ქალაქში, არმაზციხეში.

იმდროინდელი ქართველები წარმართიულ სარწმუნოებას მისდევდნენ, კერპთაყვანისმცემელნი იყვნენ და მათი ერთი მთავარი ღვთაება იყო არმაზი, რომლის სახელსაც ატარებდა ციხე-ქალაქი. არმაზის უმშვენებელი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული და ზურმუხტისთვალებიანი კერპი არმაზის ეკლესიის აღმოსავლეთ განაპირა მწვეტრვალზე მდგარა და მცხეთელები წყალგადმიდგან ყოველდღიე თავიანთი სახლის ბანებზე დაჩოქილნი სცემდნენ მას თურმე თაყვანს.

ქართველთა ბრძოლის ერთი ეპიზოდი

ამ ხანას უკუთვნის ერთი ფრიად საინტერესო ეპიზოდი ქართველი ხალხის ბრძოლისა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკავკასია დალაშქრეს რომაელთა მრავალრიცხოვანმა ჯარებმა, რომელნიც გამოჩენილი სარდლის პომპეუსის წინამძღოლობით ბოლოს მიადგნენ ქართლსაც, ანუ, როგორც თვით რომაელები უწოდებდნენ, იბერიას. იმ დროს ქართლის მეფე იყო არტაგი. იგი მხნედ გაუმკლავდა მომხდურ ლაშქარს: არმაზციხესთან შეიოკა ისინი, ხოლო როდესაც რომაელთა ტეტენიკამ გასტეხა წინააღმდეგობა, მტკვარს გალმა მცხეთაში გავიდა, ხიდები მოშალა და კვლავ განაგრძო ბრძოლა. ბოლოს რომაელებმაც მოახერხეს გალმა გასვლა, მაგრამ დიდი მსხვერპლის გადება და ძალ-ღონის დახარჯვა დასჭირდათ, სანამ არტაგს ბრძოლაზე ხელს აიღებინებდნენ.

ასეთი ფიცხელი წინააღმდეგობაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რომაელებმა ხელი აიღეს დაპყრობის განზრახვაზე და მოკავშირედ მოიკიდეს ქართლი და მისი მეფე. მათ კარგად იწვნიეს ამ მარჯვე, მებრძოლი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის ძალა და ფასი დასდეს მის მეგობრობას. მას შემდეგ ოფიციალურსა და დიპლომატიურ დოკუმენტებში ისინი „რომაელთა მოყვარე მეგობარი ხალხის“ წოდებით მიმართავენ იბერიელებს.

იბერიელებმა რომაელებს ძღვნად მიართვეს ოქროს ტახტი. რამდენიმე ხნის შემდეგ იბერიის სხვა მეფე, ფარსმანი რიგელ მხედართა რაზმის თანხლებით ტტუმბოდ ეწვია რომის იმპერატორს პაღრიანეს. ქართველების სახელდრო ვარჯიშობა-თამაშმა გააოცა და აღტაცებაში მოიყვანა მთელი რომი. იმპერატორმა ჩამოასხმევინა და ქალაქის მთავარ მოედანზე დაადგმევინა ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკება.

საერთოდ საქართველოსა და რომის ხელქვეით გაერთიანებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ ქვეყნებს შორის მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა დამყარდა. მეორე მხრივ, არანაკლებ ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ქართლს ძველი სპარსეთის, ე. წ. პართიის დიდ სახელმწიფოსთან.

რას იკვლევს არქეოლოგია?

ამ საინტერესო პერიოდის ნივთიერი ძეგლი თანამედროვე მცხეთაში მიწის ზედაპირზე არსადა ჩანს. ზემოთ აღწერილი ძეგლები ვერ აგვისახავენ ქართლს, ჯერ კიდევ გაუქრისტიანებელს, წარმართულს.

მაგრამ ის, რაც თითქოს უკვალოდ გამქრალი და გაუჩინარებულია, ხშირად ძალიან კარგად გამოჩნდება და ყველასათვის მისაწვდომი გახდება, როდესაც მეცნიერული კვლევის ასპარეზზე არქეოლოგია გამოვა ხოლმე. არქეოლოგიის მთავარ მიზანსა და საქმიანობის შინაარსს სწორედ მიწამიყრილი და ასეულ თაობათა მიერ მივიწყებული ნაშთების მიწიდან ამოთხრა, გამომზეურება წარმოადგენს. არქეოლოგია ისტორიის დამხმარე მეცნიერებაა. გარდასული დროთაგან შემორჩენილი ნივთიერი ძეგლების მძებნელი და შემსწავლელი.

არქეოლოგიის წყალობით შეიცნო და დაადგინა თანამედროვე კაცობრიობამ ისეთი ძველი, ისტორიული სარბიელიდან დიდი ხნის გადასული, მაგრამ თავის დროზე

სამთავრო

ბრწყინვალე კულტურისა და მძლავრი საბელმწიფოების მქონე ხალხები, როგორიც იყვნენ ეგვიპტელები, შუმერები, ასურელები, ბაბილონელები, ხეთები, ურარტელები და სხვა მრავალი. არქეოლოგიამ გადაუშალა თვალწინ მეცნიერებს ძველი ხუროთმოძღვრების; ქანდაკების, მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხელოსნობის მრავალი დარგის შესანიშნავი ნიმუშები; ძველი რელიგია და მსოფლმხედველობა.

ერთის სიტყვით, არქეოლოგები ხელახლა ამეტყველებენ ათასწლეულთა წინ დადუმებულ ადამიანებს და თანამედროვე კაცობრიობის წინაშე წარმოადგენენ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარეს, რომელიც რამდენადმე მაინც შეიძლება აისახოს ნივთიერ ნაშთებში.

არქეოლოგიური გათხრები ყველაზე უფრო ხშირად მიწაში ჩამარხული ქალაქების, ციხე-სიმაგრეებისა თუ სოფლების ნანგრევებს ან ძველ სასაფლაოებს ეხება. ათობით და ასობით მუშა, წერაქვებით, ნიჩბებითა და ურიკებით აღჭურვილი, სპეციალისტი არქეოლოგების ზედამხედველობით ფრთხილად თხრის და ფენა-ფენა აცლის მიწას მის ქვეშ მოქცეულ ნაშთებს. თავდაპირველად კი გასათხრელი ადგილის მიგნება და შერჩევა, რა თქმა უნდა, მეტწილად შემთხვევით ხდება ხოლმე. ავრეთვე შემთხვევით ხდება ოდესღაც მიწაში შესანახად ჩაფლული და შემდეგ პატრონის მიერ ვეღარ გამოყენებული საუნჯის ანუ განძის აღმოჩენა.

რა თქმა უნდა, ნივთები არქეოლოგს ყველაზე უფრო კარგად შენახული დახვდება სწორედ ამ განძებში ან საფლავებში, რომელნიც მეტწილად საგანგებოდ ამეზიდებულ ნაგებობას წარმოადგენენ ხოლმე, მიწისა და წყლის მავნე ზემოქმედებისაგან დაცულს. ზოგან თვითეული სამარხი ჭეშმარიტ მაზარ ნაგებობას წარმოადგენს, იმდროინდელი სახუროთმოძღვრო ხელოვნების შესანიშნავ ძეგლს, რომელიც წლობით ითხრება და იწმინდება და რომელშიც ათასობით დიდი თუ მცირე ნივთია მიცვალებულთან ერთად დამარხული.

ეგვიპტეში, მესოპოტამიაში (ახლანდელ ერაყში), მცირე აზიაში (ახლანდელ თურქეთში), სპარსეთში (ირანში), საბერძნეთში, იტალიაში და სხვაგან მთელი ქალაქებია არქეოლოგთა მიერ ამოთხრილი და ზოგჯერ ნაწილობრივ აღდგენილიც. ძველი რუსეთის ფარგლებშიც სწარმოებდა ამგვარი, ფრიად ნაყოფიერი გათხრები — განსაკუთრებით შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე.

ეს. აღმოჩენები მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევდა მთელი მსოფლიოს განათლებულ და ცნობისმოყვარე ადამიანთა მხრივ. ყოველი კულტურული სახელმწიფო ცდილობდა თავისი ქვეყნის მიწა-წყალზედაც ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, რათა თანამედროვე თაობანი გამოსმაურებოდნენ გარდასულ თაობებს.

ამიტომ იყო, რომ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის ერთ-ერთ სახუკვარ ოცნებას წარმოადგენდა ჩვენში მეცნიერული არქეოლოგიური მუშაობის გაშლა, მაგრამ როგორც მრავალი სხვა ოცნება ჩვენი ერის საუკეთესო შვილებისა, იაე ეს ოცნებაც მხოლოდ ლენინურ-სტალინურ ეპოქაში განხორციელდა.



სვეტიცხოველი. მარჯვნივ—ჯვარის საყდარი

მითოლოგია არის მეცნიერება **მითების** შესახებ, მითი კი არის ამა თუ იმ ხალხის თქმულება თავის ღმერთებსა და გმირებზე.

რა საჭიროა ვიცოდეთ მითოლოგია?

ჩვენი დიდი მასწავლებლები მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი თავიანთი აზრის მკვეთრად გამოსახატავად ხანდახან მიმართავენ ძველ ბერძნულ მითოლოგიას, სარგებლობენ ბერძენთა და რომაელთა ღმერთებისა და გმირების სახელებით.

მითოლოგიით სარგებლობენ აგრეთვე ყველა ქვეყნის და ყველა დროის დიდი მწერლები. აკაკი წერეთელი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოეთე, შექსპირი, ბაირონი და მრავალი სხვა ასხენებენ ხოლმე პრომეთეს, აპოლონს, ჰერკულესს, ტერპსიხორას, იუპიტერს და სხვ. ძველ ბერძენთა და რომაელთა ღმერთებსა და გმირებს.

ჩვენს ყოველდღიურ საუბარში ხშირად ვხმარობთ გამოთქმებს: „ტიტანური ბრძოლა“, „გიგანტური შრომა“. საიდან არის ეს სიტყვები: „ტიტანი“, „გიგანტი“? ეს სიტყვები ბერძნული მითოლოგიიდან არის აღებული.

ან გაიხსენეთ ცის თაღზე მოფენილი ვარსკვლავებისა და პლანეტების სახელწოდებანი—სატურნი, მარსი, ვენერა, კასიოპეა და ა. შ. საიდან არის ეს სახელები? ბერძნული და რომაული მითოლოგიიდან.

ან აიღეთ, მაგალითად, ხელოვნება. ყველა დროისა და ყველა ხალხების უდიდესი მხატვრები ხშირად სარგებლობდნენ მითებში მოთხრობილი ამბებით და ჰქმნიდნენ თავიანთ უკვდავ სურათებსა თუ ქანდაკებებს. მაშ, როგორ გინდათ გაიგოთ ხელოვნების დიადი ქმნილებანი თუ არ იცნობთ მითებს?

აი ყოველივე ამისათვის საჭირო არის ვიცოდეთ მითოლოგია, განსაკუთრებით ძველბერძნული და რომაული მითოლოგია.

ჟურნალ „პიონერში“ სისტემატურად დაიბეჭდება ცნობები მითოლოგიიდან ლექსიკონის სახით, მოკლედ იქნება განმარტებული მითოლოგიური ღმერთებისა და გმირების სახელები.

მითოლოგიის უფრო საფუძვლიანი გაცნობისათვის ჩვენმა მკითხველებმა კარგი იქნება წაიკითხონ, მაგალითად, **ნ. კუნის** წიგნი **„რას მოგვითხრობდნენ ძველი ბერძნები თავიანთ ღმერთებსა და გმირებზე“.**

:: მ ი თ ო ლ ო გ ი ი ს :: ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ანთეოსი.—ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის 3 მარტს დაახასიათა ბოლშევიკების მუდმივი კავშირის აუცილებლობა ხალხის ფართო მასებთან, როგორც დედასთან, რომელმაც ისინი ჰშობა და გამოზარდა. თავისი ამ აზრის მკვეთრად გამოსახატავად ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა, როგორც მაგალითი ძველბერძენთა მითი ვმირ ანთეოსზე:

„ძველ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიის სისტემაში ჰქონდათ ერთი სახელგანთქმული გმირი—ანთეოსი, რომელიც, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, იყო პოსეიდონის—ზღვათა ღმერთისა, და გეის—მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი ჰშობა, გამოჰკვება და გამოზარდა. არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას—ამ ანთეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა მისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც ჰშობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი ადგილი—ეს იყო მიწისაგან რამენაირად მოწყვეტილ საშუალება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უდარაჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვიტა



ანთეოსის და ჰერკულესის ბრძოლის მომენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხება ,,საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი ჰაერში.

ვფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი ჰშობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა ,,ანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველ დარჩნენ".

სტალინური ამ შედარების მთელი სიძლიერე თავისთავად მეტყველებს.

ანთეოსი ხალხური გმირია. მითი ანთეოსზე ძველ ბერძნებს მოთხრობილი აქვთ მეორე გმირის — ჰერკულესის საგმირო თავვადასავალთან დაკავშირებით.

ჰერკულესი — საბერძნეთის განთქმული გმირია. მეფე ევრისთეოსის დავალებით მან შეასრულა თორმეტი საგმირო საქმე. მაგრამ გარდა ამ თორმეტი გმირობისა, ჰერკულესს ბევრი სხვა გმირობაც ჩაუდენია, მრავალ მხეცთან და ურჩხულთან ჰქონია მას ბრძოლა.

პოეტები, მხატვრები და მოქანდაკეები ხშირად სარგებლობენ მითით ჰერკულესზე. მათ იზიდავენ და ჰერკულესის მრავალნაირი თავგადასავალი, ათასგვარი გაჭირვება, რომლებიც მან დასძლია მთელი თავისი ცხოვრების ვზაზე. ასეთი უმაგალითო გმირობისათვის ჰერკულესი სიკვდილის შემდეგ მიღებული იქნა ღმერთების წრეში.

სახელი ჰერკულესი საზოგადო სახელად იქცა ფიზიკურად მეტად ღონიერი ადამიანისათვის; იტყვიან ხოლმე ღონიერ კაცზე: იგი ჰერკულესიაო.

გარდა ამისა, ჰიბრალტარის სრუტეს ძველად ჰერკულესის სვეტები ეწოდებოდა.

ამ გმირს ჰერკულესი რომაელებმა დაარქვეს, ბერძნები მას ჰერაკლეს უწოდებდნენ, ბავშვობისას კი ალკიდი ჰქვიოდა. ასე რომ ჰერკულესი, ჰერაკლე, ალკიდი ერთი და იმავე მითური გმირის სახელები.

სურათზე მოცემულია ქანდაკება, რომელსაც ეწოდება ფარნეზეს ჰერკულესი: გმირი ისვენებს გარდახდილი ბრძოლების შემდეგ. ეს ქანდაკება გენიალური მოქანდაკის, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვის, ლიზიპის ბრინჯაოს ქანდაკების მიბაძვაა, ასლია მისი. იგი დაცულია ნეაპოლის (იტალია) მუზეუმში.

ლ. ნ. ჯოლსეი

ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ

ᲛᲒᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲑᲘ

ᲛᲒᲔᲚᲛᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲛᲐ; ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲘᲗ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲗᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲔᲗ. ᲛᲒᲔᲚᲛᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ: „ᲢᲧᲣᲧᲝᲜᲔᲚ-ᲣᲑᲠᲚᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲪᲘᲗᲘ; ᲒᲐᲮᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲮᲘᲐ ᲐᲠ,—ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐᲝ“. ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲐᲜᲐᲠᲘᲐ

გასართობი

ოთხი ოთხიანი

ბესოს დაავიანდა პიონერთა შეკრებაზე.

— ალბათ რაღაც შეემთხვა ჩვენს ბესოს, თორემ არ დაიგვიანებდა,—სთქვა ერთმა პიონერმა.

ამ დროს ბესომ შემოაღო კარი და მხიარულად მოგვაძახა:—ბიჭებო, იცით, მე რა აღმოვაჩინე? თურმე მათემატიკაში ათი ციფრი კი არ არის საკმარო, როგორც ეს აქამდე ვიცოდით, ორამდე მხოლოდ ოთხი, და ისიც ყველა ოთხიანი.

— როგორ თუ ოთხი ოთხიანი?

— როგორ და, სულ უბრალოდ. მე შემიძლია ვწერო რიცხვები მხოლოდ ოთხიანებით, ოთხი ოთხიანით.

— რას ამბობ, ბესო? მაშ როგორ დასწერ ერთს ჩვენი ოთხი ოთხიანით?

— აი ასე: $\frac{44}{44}$. ეს უდრის ერთს.

— ორს?

— აი ასე: $\frac{4\times4}{4+4}$. ეს უდრის ორს.

— სამს?

— აი ასე: $\frac{4+4+4}{4}$. ეს უდრის სამს.

ასე მიჰყვა ჩვენი ბესო, და პლუსის, მინუსის, გაყოფის ნიშნის, გამრავლების ნიშნის, ფრჩხილების, ახარისხების, ფესვის ამოღების, ათწილადების საშუალებით თავისი ოთხი ოთხიანით მრავალი რიცხვი დასწერა.

ოთხი ოთხიანით დასწერა, მაგალითად, თვით ოთხი, შემდეგ ხუთი, ექვსი... თერთმეტი, თორმეტი და ა. შ.

აბა თქვენც სინჯეთ, ყმაწვილებო. ვნახოთ რამდენ რიცხვს დასწერთ ოთხი ოთხიანით.

სად არის შეცდომა?

ერთხელ ჩვენმა ბესომ გვითხრა:

— გინდათ, ამხანაგებო, დაგიმტკიცოთ, რომ 2=5?

— დაფიქრდი, ბესო, რას ამბობ?—შესძახეს აქეთ-იქიდან ამხანაგებმა.

— აი ნახეთ. დაგიწყოთ. მე ვწერ: 2—2=5—5. ხომ სწორეა?

— სწორეა.

— ხომ შემიძლია მე ეს თანასწორობა გამოვსახო გარეგნულად ცოტა სხვანაირად, მაგალითად, ფრჩხილებს გარეთ გამოვიტანო საერთო მამრავლები, მაშინ გვექნება: 2 (1—1)=5 (1—1)

— რასაკვირველია.

— ახლა თანასწორობის ორივე მხარე გავყოთ საერთო მამრავლზე (1—1) და მივიღებთ 2=5.

— ეს შეუძლებელია!

— თუ შეუძლებელია, მაშ მითხარით სად დავუშვი შეცდომა?

მართლაც და, რა შეცდომა დაუშვა ბესომ?

გასაოცარი კვადრატი

ჩემმა ამხანაგმა ნოდარმა ქაღალდზე დახატა სურათი.

— ეს გასაოცარი კვადრატია, — სთქვა მან. — იგი გამოგიგონეს ჩინელმა მეცნიერებმა, სამი ათასი წლის წინათ.

—მერე, რა არის აქ გასაოცარი? — შევეკითხე მე.

—როგორ თუ რა არის? თვითეული რიგი შეკრებისას იძლევა თხუთმეტს სულერთია როგორც უნდა შეკრიბო: გინდ მარცხნიდან მარჯვნივ, გინდ ზემოდან ქვევით, გინდ ირიბად — ერთი კუთხიდან მეორე კუთხისაკენ.

3049

ბაკურიანში. — მოსწავლე გოგი თოთიბაძის ნახატი

თხილამურებით

მაღალ მთებში, ქარისაგან მყუდროდ დაცული, მზით და ფიქვნარით უხვი ბაკურიანი მარტო საზაფხულო აგარაკად როდია ცნობილი. მთელი ზამთრის განმავლობაში ღრმა თოვლითაა დაფარული მისი მთა-გორები, აქ ჩინებულად ეწყობა თხილამურით რბენა, მთიდან სწრაფი დაშვება თუ სლალომი. შესანიშნავია სასპარტზოდ.

საზამთრო არდადეგებში მოსწავლეთა სათხილამურო შეკრება ჩატარა ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლემ. მოთხილამურე ბავშვები ბაკურიანს ეწვივნენ.

ახალწელიწად დღეს, თბილისელი ოცდათხი მოსწავლე, მზარზე თხილამურ გაწყობილი გაუდგა გზას სადგურისაკენ. ხელმძღვანელებად ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის გამგე მზია ერისთავი და ალპინიზმის ინსტრუქტორი დ. გოზალიშვილი გაჰყვნენ.

ბავშვებს, რომელთა უმრავლესობა ფრონტელთა შვილები იყვნენ, ბორჯომელი და ბაკურიანელი ნორჩი მეთხილამურეები მიემატნენ. მათ შორის გამოირჩეოდა ბაკურიანელი ცხრა წლის ბიჭუნა კობა წაქაძე, თხილამურებს შესანიშნავად დაუფლებული. პრონერები ბაკურიანში სპორტის საუკეთესო ოსტატთა ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ, ათი დღის შემდეგ მოაწყეს ლაშქრობა თხუთმეტ კილომეტრ მანძილზე და შეკრების დასასრულს შეჯიბრება ჩაატარეს.

ორკვირეული ლაშქრობის შემდეგ, ნორჩმა მოთხილამურეებმა შესანიშნავი მაჩვენებლების გარდა, თბილისში ჩამოიტანეს სალაშქრო გაზეთი, დიპლომები, ხოლო ახალგაზრდა მხატვარმა გოგი თოთიბაძემ ზამთრის მომხიბლავი ეტიუდები.